



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნია თოდუა

**საქართველოს ჯანდაცვის სექტორში მომხმარებელთა ქცევაზე სოციალური მედია
მარკეტინგის გავლენა**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი,

თსუ ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

თბილისი

2024

შინაარსი

83.

აბსტრაქტი ქართულ ენაზე -----	4
აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე -----	5
ცხრილების ნუსხა -----	6
ნახაზებისა და დიაგრამების ნუსხა -----	10
შესავალი -----	11
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა	
1.1. მარკეტინგი ციფრულ ერაში -----	23
1.2. სოციალური მედიის არსი და კლასიფიკაცია -----	27
1.3. სოციალური მედია მარკეტინგის თანამედროვე ხედვა -----	35
1.4. სოციალური მედიის გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე -----	40
1.5. სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენების ძირითადი ასპექტები ჯანდაცვაში -----	43
თავი 2. კვლევის ჰიპოთეზების განვითარება	
2.1. სოციალურ მედიაში ჩართულობა -----	61
2.2. სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების გავლენა eWOM-ზე -----	62
2.3. სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების გავლენა მომხმარებელთა ნდობაზე -----	64
2.4. სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების გავლენა მყიდველობით განზრახვაზე -----	65
2.5. საინფორმაციო გადატვირთვა, როგორც ონლაინ საინფორმაციო წყაროების ზემოქმედების შედეგი -----	66
2.6. კიბერქონდრია და საინფორმაციო გადატვირთვა -----	68
2.7. კიბერქონდრიის გავლენა კრიზისული მოვლენის შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, გადაცემასა და წარდგენაში -----	70
2.8. შიშის გავლენა კრიზისული მოვლენების შესახებ ონლაინ ინფორმაციის მოძიებაში, გადაგზავნასა და წარდგენაში -----	73
თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია	
3.1. კვლევისადმი მიდგომები -----	76
3.2. კვლევის დიზაინი -----	77
3.3. მონაცემების შეგროვების მეთოდი -----	77
3.4. კვლევის კონსტრუქცია და კვლევის მოდელი -----	78
3.5. ანკეტის დიზაინი და საზომი სკალები -----	84
3.6. შერჩევის დიზაინი -----	86
3.7. მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი -----	87
3.8. გაზომვის სანდოობა -----	87

თავი 4. კვლევის შედეგები

4.1. სოციალური მედიისადმი ზოგადი დამოკიდებულებისა და ჯანდაცვაში მისი როლის კვლევა -----	89
4.2. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობისადმი დამოკიდებულების კვლევა -----	93
4.3. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობებში მომხმარებელთა ჩართულობის კვლევა -----	98
4.4. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული E-WOM-ის კვლევა -----	103
4.5. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობისადმი ნდობის კვლევა -----	113
4.6. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობის მყიდველობით განზრახვაზე დამოკიდებულების კვლევა -----	118
4.7. სოციალურ მედიაში მომხმარებელთა აქტივობებზე COVID-19–ის პანდემიის გავლენის კვლევა -----	128
4.8. მომხმარებელთა ქცევაზე კრიზისული მოვლენებით გამოწვეული კიბერქონდრიისა და შიშის გავლენის კვლევა -----	130
4.9. ჯანდაცვის მომხმარებელთა ქცევაზე მომხმარებელთა დემოგრაფიული მახასიათებლების გავლენის კვლევა -----	163
დასკვნები და რეკომენდაციები -----	171
გამოყენებული ლიტერატურა -----	177
დანართები -----	204

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ერაში სოციალური მედიის როლი მნიშვნელოვანია. სოციალური მედია მარკეტინგული მიდგომები აქტიურად გამოიყენება ჯანდაცვის ინდუსტრიაში, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა COVID-19-ის პანდემიის და მის შემდგომ პერიოდებში. დღეისათვის სოციალური მედია პაციენტებსა და ჯანდაცვის პროვაიდერებს შორის ურთიერთობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. COVID-19-ის პანდემიამ ძირეულად შეცვალა ჯანდაცვის მომხმარებელთა ქცევა, რამაც სოციალურ მედიაში მათი აქტიურობა კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა. შესაბამისად, გაიზარდა მკვლევრების დაინტერესება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. პრობლემის აქტუალობის მიუხედავად, ქართულ სინამდვილეში ნაკლებია შრომები ჯანდაცვის სფეროში სოციალური მედია მარკეტინგული მიდგომების შესწავლის თვალსაზრისით. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა, რომლის მიზანია საქართველოს ჯანდაცვაში მომხმარებელთა ქცევაზე სოციალური მარკეტინგის გავლენის შესწავლა.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ გამოკვლევას, რომელშიც ახლებურადაა წარმოდგენილი ჯანდაცვის ინდუსტრიაში მომხმარებელთა ქცევის საკითხები. განსაკუთრებით ინოვაციურია კრიზისული მოვლენების შედეგად ჯანდაცვის მომხმარებელთა ქცევაზე კიბერქონდრიის გავლენის შესწავლა. კვლევის შედეგების დამუშავებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც დაკვირვებად ცვლადებს შორის ურთიერთკავშირს ადგენს. კვლევის შედეგებს აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა ჯანდაცვის სექტორში მომხმარებელთა ქცევის უკეთ გაგებისა და მათთვის მისადაგი მარკეტინგული მიდგომების შემუშავებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, მომხმარებელთა ქცევა, სოციალური მედია, კიბერქონდრია, მარკეტინგული კვლევა.

Abstract

Nia Todua

Impact of social media marketing on consumer behavior in the Georgian healthcare sector

In the era of digital technology development, the role of social media is essential. Social media marketing approaches are actively used in the healthcare industry, which has become especially noticeable during the COVID-19 pandemic and its aftermath. Today, social media is the best means of communication between patients and healthcare providers. The COVID-19 pandemic has fundamentally changed healthcare consumers' behaviour, making them even more active on social media. Accordingly, the interest of researchers in the mentioned issue has increased. Despite the urgency of the problem, in Georgian reality, there are fewer studies on social media marketing approaches in healthcare. The present dissertation attempts to fill this gap by studying the impact of social marketing on consumer behaviour in Georgian healthcare.

The dissertation presents an original investigation that reframes consumer behaviour issues in the healthcare industry. Particularly innovative is the study of cybercrime's impact on healthcare consumers' behaviour during crisis events. Statistical significant values were obtained by processing the research results, which established the relationship between the observable variables. The research results have both theoretical and practical significance for better understanding consumer behaviour in the healthcare sector and developing appropriate marketing approaches.

Keywords: health care, consumer behaviour, social media, cyberchondria, marketing research.

ცხრილების ნუსხა

1. ცხრილი 1.1. ტრადიციული მედიის და სოციალური მედიის ერთმანეთთან შედარება - გვ.27
2. ცხრილი 1.2. სოციალური მედიის კლასიფიკაცია - გვ.33
3. ცხრილი 3.1. კვლევის კონსტრუქცია - გვ.79
4. ცხრილი 3.2. კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდურობის სტატისტიკა - გვ.88
5. ცხრილი 4.1. შერჩევის დემოგრაფიული მახასიათებლები - გვ.89
6. ცხრილი 4.2. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგული აქტივობების საშუალო ქულები - გვ.95
7. ცხრილი 4.3. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.96
8. ცხრილი 4.4. სოციალურ მედიაში ჩართულობის განმსაზღვრელი დებულებების საშუალო ქულები - გვ. 99
9. ცხრილი 4.5. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობებში ჩართულობის განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.100
10. ცხრილი 4.6. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობებსა და ჩართულობას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.101
11. ცხრილი 4.7. მომხმარებელთა ჩართულობაზე სოციალური მედია აქტივობის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.102
12. ცხრილი 4.8. eWOM-ის (ინფორმაციის მოძიების) განმსაზღვრელი დებულებების საშუალო ქულები - გვ.105
13. ცხრილი 4.9. eWOM-ის (ინფორმაციის გადაცემის) განმსაზღვრელი დებულებების საშუალო ქულები - გვ.106
14. ცხრილი 4.10. eWOM-ის (ინფორმაციის წარდგენის) განმსაზღვრელი დებულებების საშუალო ქულები - გვ.108
15. ცხრილი 4.11. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების (Information Seeking / IS) განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.109
16. ცხრილი 4.12. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის (Information Passing / IP) განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.110

17. ცხრილი 4.13. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენის (Information Giving / IG) განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.111
18. ცხრილი 4.14. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობებსა და e-WOM შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.111
19. ცხრილი 4.15. eWOM-ზე მომხმარებელთა სოციალური მედია აქტივობის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.112
20. ცხრილი 4.16. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობებისადმი ნდობის განმსაზღვრელი დებულებების საშუალო ქულები - გვ.114
21. ცხრილი 4.17. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობებისადმი ნდობის განმსაზღვრელი დებულებების საშუალო ქულები - გვ.115
22. ცხრილი 4.18. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალურ მედია მარკეტინგული აქტივობებსა და ნდობას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.116
23. ცხრილი 4.19. ნდობაზე მომხმარებელთა სოციალური მედია აქტივობის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.117
24. ცხრილი 4.20. მყიდველობითი განზრახვის დებულებების საშუალო ქულები - გვ.119
25. ცხრილი 4.21. მყიდველობითი განზრახვის განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.120
26. ცხრილი 4.22. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობებსა და მყიდველობით განზრახვას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.121
27. ცხრილი 4.23. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობებსა და მყიდველობით განზრახვას შორის კორელაციური დამოკიდებულები - გვ.122
28. ცხრილი 4.24. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობებში მომხმარებელთა ჩართულობასა და მყიდველობით განზრახვას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.123
29. ცხრილი 4.25. მყიდველობით განზრახვაზე მომხმარებელთა ჩართულობის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.124
30. ცხრილი 4.26. eWOM-სა და მყიდველობით განზრახვას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.125

31. ცხრილი 4.27. მყიდველობით განზრახვაზე eWOM-ის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.125
32. ცხრილი 4.28. ნდობასა და მყიდველობით განზრახვას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.126
33. ცხრილი 4.29. მყიდველობით განზრახვაზე ნდობის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.127
34. ცხრილი 4.30. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო წყაროების ზემოქმედების მიმართ რესპონდენტების მიერ გამოხატული დებულებების საშუალო ქულები - გვ.131
35. ცხრილი 4.31. ჯანდაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო წყაროების ზემოქმედების განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.132
36. ცხრილი 4.32. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საინფორმაციო გადატვირთვის განმსაზღვრელი დებულებების მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულების საშუალო ქულები - გვ. 133
37. ცხრილი 4.33. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო გადატვირთვის განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.134
38. ცხრილი 4.34. საინფორმაციო წყაროების ზემოქმედებასა და საინფორმაციო გადატვირთვას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.135
39. ცხრილი 4.35. საინფორმაციო გადატვირთვაზე საინფორმაციო წყაროების გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.136
40. ცხრილი 4.36. კიბერქონდრიის განმსაზღვრელი დებულებების მიმართ რესპონდენტების მიერ გამოხატული დამოკიდებულების საშუალო ქულები - გვ.138
41. ცხრილი 4.37. კიბერქონდრიის განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.139
42. ცხრილი 4.38. საინფორმაციო გადატვირთვასა და კიბერქონდრიას შორის კავშირი - გვ.139
43. ცხრილი 4.39. კიბერქონდრიაზე საინფორმაციო გადატვირთვის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.140
44. ცხრილი 4.40. კიბერქონდრიასა და eWOM -ს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.141
45. ცხრილი 4.41. eWOM-ზე კიბერქონდრიის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.142
46. ცხრილი 4.42. კიბერქონდრიასა და კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოძიებას შორის კავშირი - გვ.143

47. ცხრილი 4.43. კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე კიბერქონდრიის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.144
48. ცხრილი 4.44. კიბერქონდრიასა და კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.145
49. ცხრილი 4.45. კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნაზე კიბერქონდრიის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.146
50. ცხრილი 4.46. კიბერქონდრიასა და კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის წარდგენას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.147
51. ცხრილი 4.47. კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე კიბერქონდრიის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.148
52. ცხრილი 4.48. კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში მოცემული ინფორმაციის შესახებ შიშის განმსაზღვრელი დებულებების საშუალო ქულები - გვ.150
53. ცხრილი 4.49. კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში მოცემული ინფორმაციის შესახებ შიშის განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ. 151
54. ცხრილი 4.50. კიბერქონდრიასა და კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში მოცემული ინფორმაციის შესახებ შიშს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.151
55. ცხრილი 4.51. კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში მოცემული ინფორმაციის შესახებ შიშზე კიბერქონდრიის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.152
56. ცხრილი 4.52. შიშსა და eWOM-ს შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.153
57. ცხრილი 4.53. eWOM-ზე შიშის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.154
58. ცხრილი 4.54. შიშსა და კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოძიებას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.155
59. ცხრილი 4.55. კრიზისული მოვლენების შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაციის მოძიებაზე შიშის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.156
60. ცხრილი 4.56. შიშსა და კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.157
61. ცხრილი 4.57. კრიზისული მოვლენების შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაციის გადაგზავნაზე შიშის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.158
62. ცხრილი 4.58. შიშსა და კრიზისული მოვლენების შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაციის წარდგენას შორის კორელაციური დამოკიდებულება - გვ.159
63. ცხრილი 4.59. კრიზისული მოვლენების შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაციის წარდგენაზე შიშის გავლენის რეგრესიული ანალიზი - გვ.160

64. ცხრილი 4.60. ჯანდაცვის მომხმარებელთა ქცევაზე სქესის გავლენის დისპერსიული ანალიზი - გვ.163
65. ცხრილი 4.61. ჯანდაცვის მომხმარებელთა ქცევაზე ასაკის გავლენის დისპერსიული ანალიზი - გვ.165
66. ცხრილი 4.62. ჯანდაცვის მომხმარებელთა ქცევაზე განათლების გავლენის დისპერსიული ანალიზი - გვ.167
67. ცხრილი 4.63. ჯანდაცვის მომხმარებელთა ქცევაზე შემოსავლების გავლენის დისპერსიული ანალიზი - გვ.169

ნახაზებისა და დიაგრამების ნუსხა

1. ნახ.1.1. მსოფლიოში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა 2013-2023 წლებში - გვ.26
2. ნახ. 1.2. სოციალური მედიის პლატფორმების მომხმარებელთა რაოდენობა 2024 წელს (მლრდ) - გვ.32
3. ნახ. 1.3. სოციალურ მედიაში ჩართულობის მოდელი - გვ.34
4. ნახ. 1.4. კომუნიკაციის მოდელი სოციალური მედიის და ტრადიციული არხების მეშვეობით - გვ.34
5. ნახ.3.1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი - გვ.84
6. ნახ. 3.2. კვლევის კონცეპტუალური მოდელის აღნაგობა სტრუქტურული განტოლების მოდელის გამოყენებით - გვ.85
7. ნახ. 4.1. სტრუქტურული განტოლების მოდელი (კვლევის შედეგების მიხედვით) - გვ.162
8. დიაგრამა 4.1. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების (Social Media Marketing Activities / SMMA) შესახებ რესპონდენტების შეფასების სიხშირეები - გვ. 94
9. დიაგრამა 4.2 ჯანდაცვასთან მიმართებით სოციალურ მედიაში რესპონდენტთა ჩართულობის (Engagement / EN) სიხშირეები - გვ.98
10. დიაგრამა 4.3. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების (Information Seeking / IS) მიმართ რესპონდენტების მიერ გამოხატული დამოკიდებულების სიხშირეები - გვ.104
11. დიაგრამა 4.4. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის (Information Passing / IP) მიმართ რესპონდენტების მიერ გამოხატული დამოკიდებულების სიხშირეები - გვ.106

12. დიაგრამა 4.5. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენის (Information Giving / IG) დებულებების მიმართ რესპონდენტების მიერ გამოხატული დამოკიდებულების სიხშირეები - გვ.107
13. დიაგრამა 4.6. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობებისადმი ნდობის (Trust / TR) განმსაზღვრელი დებულებების მიმართ რესპონდენტების მიერ მოცემული სიხშირეები - გვ.114
14. დიაგრამა 4.7. ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების მყიდველობით განზრახვაზე (Purchase Intention – PI) გავლენის სიხშირეები - გვ.118
15. დიაგრამა 4.8. COVID-19-ის პანდემიის გამო სოციალურ მედიაში რესპონდენტების აქტივობის გაზრდის ძირითადი მიზეზები - გვ.129
16. დიაგრამა 4.9. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო წყაროების ზემოქმედების მიმართ რესპონდენტების მიერ გამოხატული დამოკიდებულების სიხშირეები - გვ.130
17. დიაგრამა 4.10. სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო გადატვირთვის მიმართ რესპონდენტების მიერ გამოხატული დამოკიდებულების სიხშირეები - გვ.133
18. დიაგრამა 4.11. სოციალურ მედიაში კიბერქონდრიის მიმართ რესპონდენტების მიერ გამოხატული დამოკიდებულების სიხშირეები - გვ.137
19. დიაგრამა 4.12. კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში მოცემული ინფორმაციის შესახებ შიშისადმი რესპონდენტების დამოკიდებულების სიხშირეები - გვ.150

შესავალი

პრობლემის აქტუალობა და მეცნიერული დამუშავების დონე. სოციალური მედია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი თანდათანობით ხდება მნიშვნელოვანი მარკეტინგული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს კომპანიებს, თავიანთ მომხმარებლებთან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარონ (Abid *et al.*, 2023). შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედია ესაა Web-2-ზე დაფუძნებული ინტერნეტ აპლიკაციების ჯგუფი, რომელიც მომხმარებლებს კონტენტის შექმნისა და გაზიარების საშუალებას აძლევს (Kaplan and Haenlein, 2010). სოციალური მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯანდაცვის ინდუსტრიაში (Moorhead *et al.*, 2013; Khan *et al.*, 2021). ამიტომაც უკანასკნელ ხანებში ჯანდაცვის სპეციალისტებისა და პროვაიდერების, აგრეთვე პაციენტების მიერ სოციალური მედიის გამოყენება საგრძობლად გაიზარდა (Kordzadeh, 2016; Kostigina *et al.*, 2020). ჯანდაცვის სპეციალისტები სოციალურ მედიას იყენებენ კოლეგებთან პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ინფორმაციის გაზიარებისათვის (Rolls *et al.*, 2016). ჯანდაცვის პროვაიდერები კი სოციალურ მედიას მიმართავენ თავიანთი ორგანიზაციების პრომოციისათვის, აგრეთვე არსებულ და პოტენციურ კლიენტებთან მტკიცე ურთიერთობების დამყარებისა და საკუთარი ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად (McCann and Barlow, 2015). რაც შეეხება პაციენტებს, ისინი სოციალური მედიის მეშვეობით ღებულობენ ინფორმაციებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (Ventola, 2014).

თანამედროვე ეტაპზე ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან. უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში მომხმარებლები პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მონაწილეებად გადადიან (Danaher and d Gallan, 2016; Osei-Frimpong, 2017; Swan *et al.*, 2019; Farsi, 2021). ისინი სულ უფრო ხშირად იყენებენ ციფრულ აპლიკაციებს და სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომლებიც ეხმარება მათ, უშუალოდ ჩაერთონ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაში. შესაბამისად, ჯანდაცვის ორგანიზაციები ცდილობენ, დროს არ ჩამორჩნენ და სრულყოფილ სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხერხები, რომელშიც მარკეტინგულ მიდგომებს

განსაკუთრებული როლი ენიჭება. მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ჯანდაცვის სფეროში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, სწორედ, მარკეტინგული უნარებია (Anderson et al., 2018). ამიტომ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები სულ უფრო ხშირად იყენებენ პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომებს (Crie and Chebat, 2013). თავის მხრივ, თანამედროვე პაციენტები, სამედიცინო მომსახურების შესახებ გათვითცნობიერებისა და სასურველი ინფორმაციის მისაღებად, ძირითადად, მიმართავენ ინტერნეტს. ეს კი ჯანდაცვის ინდუსტრიაში ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობას ზრდის. Google-ის მონაცემების მიხედვით, პაციენტების 77%, ექიმთან ვიზიტამდე ეცნობა საძიებო სისტემებს, ხოლო პაციენტების მესამედი იყენებს სოციალური მედიის პლატფორმებს, რათა გაიგოს ექიმისა და მისი მომსახურების შესახებ (Geekship, 2020). შესაბამისად, ციფრული მარკეტინგული მომსახურება უზრუნველყოფს ღიაობის მაღალ დონეს, რაც ტრადიციული მარკეტინგით შეუძლებელია.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ სოციალური მედიის გამოყენება ჯანდაცვის სისტემებს უამრავ შესაძლებლობებს აძლევს (Mondal et al., 2022). იგი ეხმარება ჯანდაცვის ორგანიზაციებს და ექიმებს, პაციენტებთან ჩამოაყალიბონ ურთიერთობები, ღიად გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები და მათგან უკუკავშირები მიიღონ, ასევე მომხმარებლების ნდობა გააძლიერონ და თავიანთი ბრენდების მიმზიდველობა გაზარდონ (Kamarudin et al., 2022; Freire et al., 2023). გარდა ამისა, სოციალური მედია პლატფორმების მეშვეობით მიზნობრივ აუდიტორიაზე ზუსტად ორიენტირებული რეკლამები ეხმარება ჯანდაცვის ორგანიზაციებს პაციენტებთან ინდივიდუალურ მუშაობაში (Hung et al., 2023). ამიტომაც არის, რომ აშშ-ში არსებული საავადმყოფოების 94%-ს აქვს აქტიური გვერდები Facebook-ში, ხოლო სულ უფრო მეტი რაოდენობა ხსნის თავის სოციალურ გვერდებს ისეთ პლატფორმებზე, როგორცაა Twitter და Instagram (Chaves et al., 2023). თავის მხრივ, მომხმარებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. კერძოდ, კომპანია Pew Research Center-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აშშ-ში ინტერნეტ მომხმარებელთა 70% ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას ონლაინ ეძებს (Zhou et al., 2018). ძირითადი მოტივები, რომლებიც მომხმარებლებს ჯანდაცვის

კონტექსტში სოციალური ქსელების გამოყენებისაკენ უბიძგებენ, არის შემდეგი: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სიმპტომების შესახებ ცოდნის ამაღლება და საკუთარი აზრების გამოხატვა; ავადმყოფობის მკურნალობის შესახებ სხვებისათვის გამოცდილების გაზიარება; ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან ან ანალოგიური პრობლემების მქონე სხვა პაციენტებთან რჩევების (კონსულტაციების) მიღება (Li et al., 2018). აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური მედიის მომხმარებელთა 60%, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ექიმების პოსტებს უფრო მეტად ენდობა (Chen et al., 2018). თავის მხრივ, სოციალური მედიის გამოყენება საკმაოდ ეფექტიანია ჯანდაცვის შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერებისა და შესაბამისი ქცევის ცვლილებისათვის (Pilon et al., 2023). სოციალურ მედიაში აქტიურად ჩართულ საავადმყოფოებს და ექიმებს შეუძლიათ, დროულად დააფიქსირონ და გადაჭრან პაციენტების პრობლემები, რაც მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის ზრდას განაპირობებს (Jackson, 2021).

თანამედროვე სამყაროში ჯანდაცვის მომხმარებელთა უპირატესობები იცვლება (Ghalavand et al., 2020). COVID-19-ის პანდემიამ გავლენა მოახდინა ჯანდაცვასთან დაკავშირებულ სამომხმარებლო ქცევაზე. ადამიანებს აწუხებთ თავიანთ შემოსავლებზე და ჯანმრთელობაზე პანდემიის გავლენა და ეკონომიურად იქცევიან. საკონსულტაციო კომპანია PwC-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აშშ-ის მომხმარებელთა 32%-მა უკვე შეამცირა დანახარჯები ჯანდაცვასთან მიმართებით (PwC's Health Research Institute, 2020). ამიტომ ჯანდაცვის პროვაიდერები იყენებენ ახალ მარკეტინგულ მიდგომებს, რათა პოტენციური მომხმარებლები უკეთ მოიზიდონ და შეინარჩუნონ (Renu, 2021; Prasetya et al., 2023).

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციულმა ქცევამ ინტერნეტში (ინფორმაციის მოძიება, გადაგზავნა და წარდგენა) მკვლევრების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო (Chu and Kim, 2011; Farías, 2017; Lee and Choi, 2019; Mladenovi ´c et al., 2020), ასეთი შრომები ფოკუსირებულია მხოლოდ სამომხმარებლო სფეროზე და კრიზისული მოვლენების (მაგალითად, COVID-19-ის პანდემიის) კონტექსტში კვლევა დღემდე არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ მსგავს კვლევებში გათვალისწინებული არაა საინფორმაციო გადატვირთვა და კიბერქონდრია (ადამიანების გაუმართლებელი,

გაზრდილი შემოფოთება თავიანთი ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც გამოწვეულია ინტერნეტში სამედიცინო ინფორმაციის მოძიებით), რომლებიც სულ უფრო აქტუალურია (Zheng et al., 2020). შესაბამისად, დღემდე არაა გამოკვლეული სხვადასხვა ეგზოგენური ცვლადების გავლენა საინფორმაციო წყაროების აღქმაზე და ადამიანების მიდრეკილებაზე, ჩაერთონ საინფორმაციო ნაკადებში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სამეცნიერო ლიტერატურაში არაა მოცემული, თუ როგორ შეიძლება ავხსნათ ურთიერთკავშირი საინფორმაციო წყაროებს, კიბერქონდრიის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და საინფორმაციო გადატვირთვას შორის. ასევე არაა დადგენილი აღნიშნული ცვლადების დამოკიდებულება ონლაინსაინფორმაციო ნაკადებში ადამიანების ჩართულობასთან. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როცა ადამიანები განიცდიან ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის უეცარი და განმეორებითი ტალღების გავლენას, რომლებიც მათ მოკლე დროში უნდა გაიაზრონ. ამრიგად, მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ როგორ ახდენს გავლენას კრიზისის დროს საინფორმაციო წყაროები ონლაინ საინფორმაციო ნაკადებზე (Laato et al., 2020a). პირველ რიგში, დაინტერესებულ მხარეებს (მაგალითად, ხელისუფლების ორგანოებს და სამედიცინო მომსახურების პროვაიდერებს) ანალოგიურ მოვლენებზე შეუძლიათ მოამზადონ რეაგირების სცენარები. მეორე მხრივ, კრიზისის დროს მათ შეუძლიათ განახორციელონ შესაბამისი ზომები (მაგალითად, კონკრეტული დემოგრაფიული სეგმენტისათვის შეიმუშაონ შეტყობინებები). დაბოლოს, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ საფუძველი ჩაუყარონ კრიზისის დროს „ინფოდემიური“ ფენომენის უკეთ გაგებას (Tangcharoensathien et al., 2020). COVID-19-ის კრიზისთან დაკავშირებულმა ინფოდემიამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (ასეთია, მაგალითად, შიში, სტრესი, შფოთვა, დაუცველობის შეგრძნება), აგრეთვე მათ ქცევით რეაქციებსა და კეთილდღეობაზე, როგორცაა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ინტენსიური ძებნა, ე.ი. კიბერქონდრია (Lee et al., 2021).

ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, COVID-19-ის პანდემიამ მეცნიერებს იშვიათი და სასარგებლო შესაძლებლობა მისცა, რათა მათ ფართომასშტაბიანი კრიზისის პირობებში ინდივიდების ფსიქოლოგიური და ქცევითი რეაქციები შეესწავლათ. ამიტომაც საჭიროა დავადგინოთ ურთიერთკავშირი

ონლაინრეჟიმში საინფორმაციო წყაროების ზემოქმედებას, საინფორმაციო გადატვირთვას, კიბერქონდრიასა და ინფორმაციულ ქცევას შორის. ჩვენ ვეყრდნობით ამ სფეროში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და განვიხილავთ საყოველთაოდ აღიარებულ მოდელებს, როგორცაა: „სტიმული - ორგანიზმი - რეაქცია“ (stimulus-organism-response, S-O-R) (Sherman et al., 1997), კოგნიტური დატვირთვის თეორია (cognitive load theory - CLT) (Kirschner, 2002) და შიშისკენ მოწოდების თეორია (theory of fear appeal - TFA) (Addo et al., 2020). აქედან ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ S-O-R მოდელს, რათა ონლაინ საინფორმაციო წყაროებს (სტიმული), საინფორმაციო გადატვირთვას (ორგანიზმი) და კიბერქონდრიას, აგრეთვე COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას, გადაგზავნასა და წარდგენას შორის ურთიერთდამოკიდებულების ფორმალიზება მოვახდინოთ. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შიშის ესკალაცია ზოგჯერ ხელს უშლის ინფორმაციის აქტიურად გაცვლას (Yuen et al., 2022), შიში მოდელში ჩართულია, როგორც შუალედური ცვლადი. შემოთავაზებული მოდელი დაიტესტა 2021-2022 წლებში, მაშინ, როცა მსოფლიო COVID-19-ის პანდემიის ყველაზე უფრო მძიმე შედეგებს განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად კონტექსტს წარმოადგენს COVID-19, მიღებული შედეგები გამოსადეგია როგორც პოსტკოვიდური სიტუაციების, ასევე მომავალი მოვლენების შესასწავლად, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იქნება მნიშვნელოვანი ეკოლოგიური დარღვევები.

ამრიგად, სოციალური მედია, გონივრული გამოყენებით, შეიძლება გახდეს ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშემწყობი, აგრეთვე პაციენტებზე ზრუნვის, მათი გათვითცნობიერების ამაღლებისა და ჯანდაცვის პროგრამების პრომოციის ხელშემწყობი ინსტრუმენტი. სოციალურ მედიას ასევე შეუძლია განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

დღეისათვის საქართველოში მრავალი სამედიცინო დაწესებულება იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს თავისი მომსახურების პრომოუშენისა და მომხმარებლებთან ურთიერთობისათვის. ჯანდაცვის ქართული ორგანიზაციები, რომლებიც მისდევენ სოციალურ მედია მარკეტინგს, პაციენტებისა და საზოგადოების თვალში დიდ ნდობას და კეთილგანწყობას იმსახურებენ. ეს, განსაკუთრებით გამოჩნდა COVID-19-ის

პანდემიის პირობებში. მართალია, საქართველოში სამთავრობო დონეზე შექმნილია ჯანდაცვის საერთო ელექტრონული სისტემა და ხელისუფლება უზარმაზარ ძალისხმევას წარმართვას გლობალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან ჯანდაცვის სისტემის ადაპტაციისა და სამედიცინო სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისათვის (World Health Organization, 2017; Healthcare and Social Issues Committee of the Parliament of Georgia., 2017), მაგრამ ეს საკმარისი როდია. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ მრავლადაა ჯანდაცვის ორგანიზაციები, რომლებიც ციფრული მარკეტინგის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედია მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება ჯერ კიდევ სიახლედ აღიქმება საქართველოს ჯანდაცვის ინდუსტრიაში (Todua and Jashi, 2018; Mladenović et al., 2023). შესაბამისად, საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელთა ინფორმირებულობისა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე, ზოგადად, დაბალია. ქართველი მომხმარებლების უმეტესი ნაწილი ვერ იღებს სათანადო და დროულ ინფორმაციას ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ქართულ სინამდვილეში ნაკლებადაა შესწავლილი ჯანდაცვის სექტორში სოციალური მედია მარკეტინგის გავლენა ადგილობრივი მომხმარებლების ქცევაზე, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. აღნიშნული თემის აქტუალობამ, მოცემულ სფეროში არსებულმა პრობლემებმა, მათი მეცნიერული შესწავლისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების აუცილებლობამ განაპირობა სადისერტაციო ნაშრომის არჩევა და შესაბამისი კვლევის მიმართულება.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია მომხმარებელთა ქცევა, ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ჯანდაცვის სექტორი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოს ჯანდაცვის სფეროში სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენებასთან მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახულია შემდეგი ამოცანები:

- სოციალური მედიისადმი ქართველი მომხმარებლების ზოგადი დამოკიდებულების შესწავლა;
- ჯანდაცვაზე სოციალური მედიის გავლენის დადგენა;
- ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობისადმი დამოკიდებულების შესწავლა;
- ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობებში მომხმარებელთა ჩართულობის განსაზღვრა;
- სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული E-WOM-ის გავლენის დადგენა;
- ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობის ნდობისადმი დამოკიდებულების შესწავლა;
- ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობის მყიდველობით განზრახვაზე დამოკიდებულების განსაზღვრა;
- სოციალურ მედიაში მომხმარებელთა აქტივობებზე COVID-19-ის პანდემიის გავლენის შესწავლა;
- ჯანდაცვის მომხმარებელთა ქცევაზე კრიზისული მოვლენებით გამოწვეული კიბერქონდრიისა და შიშის გავლენის შესწავლა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიული საფუძველია მარკეტინგისა და მომხმარებელთა ქცევის შესახებ არსებული ფუნდამენტური თეორიები და მოდელები, აგრეთვე ცნობილი მკვლევრების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია სტატისტიკური ანალიზის, შედარების, დაჯგუფების, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს ფართოდაა გამოყენებული მარკეტინგული კვლევის უახლესი და აპრობირებული მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები. წინამდებარე დისერტაცია წარმოადგენს საქართველოს ჯანდაცვის სექტორში მომხმარებელთა ქცევაზე სოციალური მედია მარკეტინგის გავლენის შესახებ პირველ კომპლექსურ მეცნიერულ

გამოკვლევას. დისერტაციაში წარმოდგენილია ჯანდაცვის მომხმარებლების მიერ სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების აღქმის შესწავლაში ახალი, ორიგინალური მიდგომები. ამ კუთხით, სადისერტაციო ნაშრომი სიახლეა მარკეტინგის მეცნიერებაში როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- შესწავლილია ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება;
- შესწავლილია ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობაში ქართველი მომხმარებლების ჩართულობა;
- შესწავლილია სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული eWOM-ის გავლენა ქართველ მომხმარებლებზე;
- შესწავლილია ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობისადმი ქართველი მომხმარებლების ნდობა;
- შესწავლილია ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობის დამოკიდებულება ქართველი მომხმარებლების მყიდველობით განზრახვაზე;

გარდა ამისა, წინამდებარე კვლევას ჯანდაცვასთან დაკავშირებული კრიზისული მოვლენების მარკეტინგულ მართვაში არსებული ცოდნის განვითარებაში ოთხი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

- ის პასუხობს პირდაპირ მოწოდებებს ონლაინ საინფორმაციო ნაკადებისა და საინფორმაციო წყაროების დამატებითი ემპირიული კვლევის ჩატარების შესახებ (Chawla et al., 2021; Gevert et al., 2021; Lu et al., 2022).
- მეორე: ესაა პირველი კვლევა, რომელიც იყენებს კოგნიტური დატვირთვის თეორიას და შიშისკენ მოწოდების თეორიას, რათა საინფორმაციო წყაროებს, საინფორმაციო გადატვირთვას და კიბერქონდრიას შორის დამოკიდებულების რაოდენობრივი შეფასება მოვახდინოთ.

- ეს კვლევა ამტკიცებს პანდემიებისა და კრიზისული სიტუაციების კონტექსტში S-O-R სტრუქტურის მდგრადობას და საიმედოობას.
- მიღებული შედეგები ხელს უწყობს ონლაინ კრიზისული კომუნიკაციებისა და ინფორმაციის მოძიების სფეროში კვლევის ახალი მიმართულების განვითარებას, ვინაიდან ისინი მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაციის უამრავი წყაროს ზემოქმედება განაპირობებს საინფორმაციო გადატვირთვის არახელსაყრელ ფსიქოლოგიურ რეაქციას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სულ უფრო მეტად იწვევს ქცევით რეაქციას, რომელიც ცნობილია კიბერქონდრიის სახელწოდებით.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ კვლევას აქვს რამდენიმე თეორიული მნიშვნელობა ჯანდაცვის სფეროში სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენების თვალსაზრისით. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედია მარკეტინგის თემა საკმაოდ ფართოა და მასზე მიძღვნილია უამრავი რაოდენობის კვლევა, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ხარვეზები შეიმჩნევა. ამაში ვგულისხმობთ იმას, რომ ნაკლებია კვლევები, რომლებიც დააკავშირებდა ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ მედია მარკეტინგულ აქტივობებს მომხმარებელთა ქცევის განმსაზღვრელ ისეთ ცვლადებთან, როგორცაა მომხმარებელთა ჩართულობა, E-WOM, სანდოობა და მყიდველობითი განზრახვა. ეს კვლევა ხელს უწყობს ზემოაღნიშნულ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის დადგენას. მეორე მხრივ, ლიტერატურული მასალების საფუძველზე ჩვენ მიერ შერჩეული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების ცვლადები აღმოჩნდა რელევანტური და საკვანძო ჯანდაცვის ინდუსტრიის სფეროსათვის. მესამე, ამ კვლევაში სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების მნიშვნელობა აღიარებულია, როგორც საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის ფორმირებას, რაც ამ სფეროში არსებულ ცოდნას აფართოებს. დაბოლოს, ამ კვლევაში გამოჩნდა მდიდარი ინფორმაცია, რომლის გამოყენება შესაძლებელია მომავალ

კვლევებში, რათა მიღებული იქნეს უფრო ღრმა წარმოდგენა მომხმარებელთა ქცევაზე სოციალური მედია მარკეტინგის გავლენის შესახებ.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ კვლევის ძირითადი წვლილი მოიცავს ქვემოთ ჩამოყალიბებულ რამდენიმე მომენტს. პირველ რიგში, კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ მენეჯერებს, გაიფართოონ თავიანთი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობები წარმოადგენს არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებთან კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებას. მეორე, კვლევის შედეგები შესაძლებელია გაითვალისწინონ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე კომპანიებმა ბიზნეს გეგმის მომზადების პროცესში. მესამე, მოცემული კვლევა ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ ორგანიზაციებს თავიანთი მომხმარებელთა მყიდველობითი აქტის უკეთ შეცნობაში და დაეხმარება მათ, ჩამოაყალიბონ ისეთი მარკეტინგული სტრატეგიები, რომლებიც დასახული მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს. დაბოლოს, კვლევის შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებისათვის, რომლებსაც ახალი რეალობის, კერძოდ, პოსტ COVID-19-ის პანდემიის ან, ზოგადად, კრიზისული მოვლენების პირობებში, უწევთ მუშაობა.

ავტორის პირადი მონაწილეობა. გამოქვეყნებულ შრომებში ავტორის პირადი მონაწილეობა გულისხმობს კვლევის ამოცანების მეთოდოლოგიურ დასაბუთებას, საკვლევი კითხვების ფორმულირებას, კვლევის ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას, გამოკითხვის ჩატარებას, მიღებული შედეგების ანალიზს და დასკვნების გაკეთებას.

კვლევის შედეგების აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომი განხილულია და მოწონებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის კათედრაზე (2024 წლის 11 აპრილი, ოქმი N4). კვლევის შედეგები მოხსენებული იქნა შემდეგ სამეცნიერო კონფერენციებზე: მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ (თბილისი, 2022 წლის 4 ნოემბერი); მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „Strategic Planning and Marketing in the Digital World“ (სოფია, ბულგარეთი, 2022 წლის 11 ნოემბერი); სტუდენტთა მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „Management: challenges and prospects of the digital era“ (კიევი, უკრაინა, 2022 წლის 16 ნოემბერი); ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 105 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები“ (თბილისი, 2023 წლის 6 თებერვალი); მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „Digital Management in Covid 19 Pandemic and Post-pandemic times“ (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 2023 წლის 12 ნოემბერი, ჯილდო საუკეთესო პრეზენტაციისთვის), მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „Development of science in the XXI century“ (დორტმუნდი, გერმანია, 2024 წლის 18 იანვარი). კვლევის შედეგები ასევე მოხსენებულია აშშ-ში, დალასის უნივერსიტეტში სამეცნიერო სტაჟირებისას (დალასი, 2023 წლის ივნის-ივლისი). დისერტაციის ძირითადი შედეგები ასახულია 9 სამეცნიერო ნაშრომში, რომელთაგან 1 სტატია გამოქვეყნებულია Scopus-ის მაღალრეიტინგულ ჟურნალში „Telematics and Informatics“, რომლის Quartile არის Q1, Cite Score არის 16, ხოლო Impact Factor არის 8,5. 1 სტატია გამოქვეყნებულია წიგნში „Modern Healthcare Marketing in the Digital Era“ (გამომცემლობა „IGI Global“), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის მიერ.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 219 გვერდს (მათ შორის ძირითად ტექსტს 176 გვერდზე). იგი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. ტექსტში ჩართულია 67 ცხრილი, 7 ნახაზი, 12 დიაგრამა. ნაშრომს თან ერთვის 301 დასახელების ლიტერატურა და დანართები. ნია თოდუას მიერ დისერტაციის თემის გარშემო გამოქვეყნებული შრომების სია მოცემულია 1-ელ დანართში.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. მარკეტინგი ციფრულ ერაში

ჩვენი სამყარო სწრაფად იცვლება, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ განვითარებული ტექნოლოგიებისა და ცოდნაზე ფართო წვდომის ხანაში. ეკონომიკურ გარდაქმნებში საბაზრო ინსტიტუტებს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება (Berulava, 2018). მიზნობრივი მომხმარებლების ქცევაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განპირობებულია სამეცნიერო განვითარებისა და გლობალიზაციის მაღალი ტემპით, აგრეთვე ციფრულ ეკონომიკასა და ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლით (Bílková, 2021). ჰანლონისა და ტუტენის აზრით, ასეთი ცვლილებები აიძულებს მომხმარებლებს, ტრადიციული მარკეტინგული მიდგომებისადმი ნდობა დაკარგონ, რაც შესაბამისი მარკეტინგული შეტყობინებების შერჩევასაც ართულებს (Hanlon and Tuten, 2022). ყოველდღიურად კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება, კლიენტების მოზიდვის მიზნით, ერთმანეთთან მეტოქეობს. ციფრიზაციის შედეგად საქონლის ბაზარზე გატანის პროცესი შეიცვალა, ხოლო კომუნიკაციები ფიზიკურიდან ვირტუალურ სფეროში თანდათანობით გადადის (Ritz et al., 2019). აღნიშნულის გათვალისწინებით, ტექნოლოგიების გავლენა მარკეტინგში საგრძნობლად მატულობს, ვინაიდან იგი კომპანიებს მყიდველებთან წარმატებული კავშირის დამყარებას უზრუნველყოფს (Ryan, 2014). ყოველივე ეს კი იმის საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ციფრიზაციის აქტიური დანერგვა მარკეტინგში, უწინარეს ყოვლისა, მომხმარებელთა მყიდველობით ქცევასთან მიმართებით, რევოლუციური ნაბიჯია (Kingsnorth, 2022).

თანამედროვე ეტაპზე ციფრული კომუნიკაციების მნიშვნელობა იზრდება, ხოლო ციფრული მარკეტინგული ტექნოლოგიების ჩამოყალიბებამ ძირფესვიანად შეცვალა ტრადიციული მარკეტინგის სტრუქტურა, მიზნები და რესურსები. შესაბამისად, ციფრული მარკეტინგის პოტენციალის, აგრეთვე ინტერნეტში საქონლისა და მომსახურების წარმატებული წინსვლის არსში გარკვევა აუცილებელი გახდა (Jarboe et al., 2023).

კვლევითი კომპანია IDM (Institute of Direct and Digital Marketing)-ის განსაზღვრებით ციფრული მარკეტინგი წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციისათვის ისეთი ელექტრონული საშუალებების გამოყენებას, რომლებიც შეთანწყობილია მომხმარებელთა ქცევასთან (Bhatia, 2019). ამერიკის მარკეტინგის ამერიკული ასოციაცია კი, ციფრულ მარკეტინგში მოიაზრებს ყველა იმ საქმიანობას და პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით მომხმარებლებისათვის ფასეულობების ფორმირებასთან და გადაცემასთან (Kannan and Li, 2017). ზოგიერთი ავტორის აზრით, ციფრული მარკეტინგი იგივეა რაც ონლაინ რეკლამა (Smith, 2011). ჩვენი აზრით, ასეთი განმარტება არასრულია, ვინაიდან ციფრული მარკეტინგი წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც მარკეტინგული ინიციატივები ხორციელდება ციფრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით (Skudiene et al., 2015). შეიძლება ითქვას, რომ მოწინავე ტექნოლოგიებზე დამყარებული მარკეტინგი უზრუნველყოფს ორგანიზაციებსა და მათ მყიდველებს შორის მჭიდრო კონტაქტს, სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო თანამედრვე ეტაპზე ციფრული მარკეტინგი მოიაზრება, როგორც ინოვაციური მარკეტინგული საქმიანობა, რომელიც ტრადიციული და ციფრული მედიის ერთობლივ ქმედებებში ვლინდება (Järvinen et al., 2012; Liu et al., 2011; Taiminen and Karjaluo, 2015; Chaffey and Ellis-Chadwick, 2022).

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების და ციფრული მარკეტინგის განვითარება ერთმანეთზე გადაჭაჭვულია, ითვლება, რომ ციფრული მარკეტინგი წარმოიშვა მაშინ, როცა დიდი მონაცემების შენახვა საგრძნობლად გართულდა (Figueiredo et al., 2021). გილპატრიკის აზრით, ციფრული მარკეტინგის ევოლუცია , არსებითად ინტერნეტის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა (Gillpatrick, 2019). მკვლევრების აზრით, ციფრული მარკეტინგი ჩაისახა 1990 - იან წლებში, როცა ადამიანებმა კომპიუტერი და ინტერნეტი საცხოვრებელ პირობებში პირველად გამოიყენეს (Kingsnorth, 2022).

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ტრადიციული და ციფრული მარკეტინგის საკომუნიკაციო მიზნები, პოტენციურ მყიდველებთან დაკავშირების განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, ბევრი რამით ერთმანეთს ჰგავს (Sharma and


Aggarwal, 2023). შალტონის აზრით, ციფრული მარკეტინგი ხშირად გაიგივებულია ისეთ ცნებებთან, როგორცაა ონლაინ მარკეტინგი, ინტერნეტ მარკეტინგი და ვებმარკეტინგი. თუმცა, რეალობაში საქმე სხვანაირადაა (Shaltoni, 2017). ბიზნეს პრაქტიკაში ყველაზე უფრო პოპულარულია ინტერნეტ მარკეტინგის და ციფრული მარკეტინგის ერთმანეთთან შეპირისპირება. მართალია ისინი სინონიმები არ არის, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მათ ერთმანეთთან აიგივებს. ატშაია და რუნგტა თვლიან, რომ ინტერნეტ მარკეტინგი და ციფრული მარკეტინგი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია (Atshaya and Rungta, 2016). უნდა ითქვას, რომ დასახული მიზნების მიღწევაში ინტერნეტმარკეტინგს ეხმარება ინტერნეტ კავშირი (Zahay and Roberts, 2018). აქვე უნდა შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ ინტერნეტი ციფრული მარკეტინგის მთავარი ინსტრუმენტი როდია. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ციფრული მარკეტინგის ყველა არხი აუცილებელი არაა ინტერნეტთან იყოს დაკავშირებული. ინფორმაციის ციფრული გავრცელება ასევე მოიცავს სოციალურ ქსელებს, მობილურ მოწყობილობებს და სხვა (Chaffey and Ellis-Chadwick, 2022). მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტ მარკეტინგი წარმოადგენს ციფრული მარკეტინგის ნაწილს, ის ასევე მოიცავს ოფლაინ კავშირს, როგორცაა SMS/MMS, მობილური აპლიკაციები, QR კოდები და სხვა. ამ შემთხვევაში მიზნობრივი მომხმარებლები ოფლაინ ერთეულებთან, რისთვისაც რეკლამის სხვადასხვა ფორმებს იყენებენ, ციფრული მარკეტინგის ასეთი გაგება მოიცავს ონლაინ რეკლამას და სტიმულირების სხვადასხვა სახეს (Kannan, 2017).

ციფრული მარკეტინგში გამოყენებული ინსტრუმენტების კლასიფიკაცია სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებულადაა გადმოცემული. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ციფრული მარკეტინგის სხვადასხვა კატეგორიები, რომლებსაც მიეკუთვნება: SEO (საძიებო ოპტიმიზაცია), საძიებო მარკეტინგი, ელექტრონული ფოსტის მარკეტინგი, კონტენტ მარკეტინგი, მობილური მარკეტინგი, ვირუსული მარკეტინგი, სოციალური მედია მარკეტინგი, ონლაინ რეკლამა, ინფლუენსერ მარკეტინგი და პარტიზანული მარკეტინგი (Stokes, 2013; Kingsnorth, 2022; Charlesworth, 2018; Chaffey and Ellis-Chadwick, 2022; Mladenovi'c, 2022).

თანამედროვე კომპანიები თავიანთ საქმიანობაში ციფრულ ტექნოლოგიებს ფართოდ იყენებენ. კომპანია HubSpot-ის კვლევის თანახმად მარკეტოლოგების 63%-ის

აზრით, მათთვის ყველაზე უფრო მთავარ პრობლემას, სწორედ, ციფრული მარკეტინგის რეალიზაცია წარმოადგენს. ამის გამო, თანამედროვე კომპანიების ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას მდგომარეობს არა მარტო იმაში, გამოიყენონ თუ არა ციფრული მარკეტინგი, არამედ, როგორ შეეთანაწყონ მისი მეშვეობით ბიზნესის ცვალებად გარემოს (HubSpot, 2018).

კვლევითი კომპანია We Are Social -ის და Hootsuite -ის მონაცემებით, 2023 წელს მსოფლიოში ინტერნეტ გამომყენებელთა რიცხოვნობამ 5,15 მლრდ-ს მიაღწია.საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით 7% -ითაა გაზრდილი (We Are Social and Hootsuite (2023)). 1.1 ნახაზზე ილუსტრირებულია 2013-2023 წლებში მსოფლიოში ინტერნეტ გამომყენებელთა რიცხოვნობის ცვლილება. 2013-დან 2023 წლამდე პერიოდში. ამ ნახაზიდან აშკარაა, რომ ზემოთ დასახელებული მაჩვენებლები სწრაფი ტემპით იზრდება.



ნახ.1.1. მსოფლიოში ინტერნეტ გამომყენებელთა რიცხოვნობის ცვლილების დინამიკა 2013-2023 წლებში
წყარო: We Are Social and Hootsuite (2023)

ზემოთ დასახელებული ინფორმაციის მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ ციფრული მარკეტინგული ტექნოლოგიები თანამედროვე სამყაროში სწრაფად იცვლება. მას შემდეგ, როცა ინტერნეტში პირველი ბანერი განთავსდა, ციფრული მარკეტინგის იდეა მნიშვნელოვნად განვითარდა. ამას ხელი შეუწყო ისეთმა ტექნოლოგიებმა, როგორცაა სოციალური მედია, საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია და სხვა. შესაბამისად, ციფრული მარკეტინგის ლანდშაფტი მუდმივად იცვლება, ამიტომაც კომპანიები თავიანთ საქმიანობაში ფართოდ ნერგავენ ციფრული მარკეტინგის მეთოდებს, რათა ახალ ტენდენციებს არ ჩამორჩნენ. მკაცრი კონკურენციის პირობებში ბიზნესის ვერცერთი სუბიექტი ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ ციფრული მარკეტინგის სტრატეგიებს გონივრულად არ გამოიყენებს.

1.2. სოციალური მედიის არსი და კლასიფიკაცია

Web 2.0 არის არა მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალება, არამედ პლატფორმა, რომელსაც უფრო ფართო როლი და ფუნქცია აქვს, ვიდრე ტრადიციულ მასმედიას. ამიტომ მომხმარებელთა ქცევაზე სოციალური მედიის გავლენის შესასწავლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სოციალური მედიის კონცეფციის მკაფიოდ განსაზღვრა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სოციალური მედიის აღწერისას გამოიყენება მრავალფეროვანი ტერმინები (Appel et al., 2020). ამიტომ გასაკვირი როდია, სოციალური მედიის ოფიციალური, საყოველთაოდ მიღებული განმარტება რომ არ არსებობს (Xiang and Gretzel, 2010; Li et al., 2021). ერთ-ერთი ადრეული განმარტება მოცემული აქვს Blackshaw-ს (2004), რომლის თანახმადაც „სოციალური მედია ესაა პროდუქტების, ბრენდების, პიროვნებებისა და სხვადასხვა პრობლემების შესახებ მომხმარებლების მიერ ონლაინ ინფორმაციის შექმნა, გავრცელება და გამოყენება“ (Blackshaw, 2004). Kaplan and Haenlein-ის (2010) აზრით, სოციალური მედია არის ინტერნეტი და მობილური აპლიკაციები, რომელთა მთავარ იდეას წარმოადგენს მომხმარებლებს შორის სოციალური ურთიერთქმედების ხელშეწყობა (Kaplan and

Haenlein, 2010). Nair-ის (2011) თანახმად, სოციალური მედიის ძირითად კონცეფციას წარმოადგენს კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის კონტენტის, მოსაზრებების, იდეების, მედიის და ურთიერთობების გაცვლა, რომელიც ონლაინინსტრუმენტების გამოყენებას ეფუძნება (Nair, 2011). ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი ბოლოდროინდელ განმარტებას იძლევა Hoffman და სხვები. ისინი განსაზღვრავენ სოციალურ მედიას, როგორც ქსელური და მობილური ინსტრუმენტების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, შექმნან (მოიხმარონ) კონტენტი, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება მოიხმარონ (შექმნან) სხვებმა და ხელს შეუწყობს კავშირურთიერთობის დამყარებას (Hoffman et al., 2013).

სოციალურ მედიაში ინდივიდუალურ მომხმარებლებს, საზოგადოებებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ განიხილონ, შეცვალონ და გააზიარონ კონტენტი, რომელიც შექმნილია სხვა მომხმარებლების მიერ (Kietzmann et al., 2011). სწორედ, ამაში გამოიხატება ის ფუნდამენტური განსხვავება, რომელიც არსებობს სოციალურ მედიასა და ტრადიციულ მედიას შორის, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომუნიკაციის ახალი მოდელის ფორმირებაში (Mangold and Faulds, 2009; Tariq and Wahid, 2011). ტრადიციულ მედიასა და სოციალურ მედიას შორის განსხვავება ნაჩვენებია 1.1 ცხრილში. მასში აშკარად ჩანს სოციალური მედიის უპირატესობები, კერძოდ, ფუნქციების დაუწყონებლივი განახლება, უსასრულო რაოდენობის ადამიანებთან და არქივებთან დაკავშირება და სხვა. სოციალური მედიის მეშვეობით კომპანიებს ეძლევათ შანსი, მოუსმინონ თავიანთ მომხმარებლებს, გაიზიარონ მათი მოსაზრებები, ითანამშრომლონ მათთან, რათა პროდუქტისა და მომსახურების გაუმჯობესებას მიაღწიონ (Stokes and Quirk, 2013). მართალია, მარკეტინგის მენეჯერებს არ შეუძლიათ, გააკონტროლონ სოციალური ქსელებით გავრცელებული ინფორმაცია, მაგრამ მათ აქვთ შესაძლებლობა, მომხმარებლებთან „დისკუსია ჩამოაყალიბონ“ (Mangold and Faulds, 2009). აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ახალი მედიის განვითარების საფუძველზე კომუნიკაციამ მიიღო ჰიპერმედიის სახე, რომელმაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ურთიერთქმედების ახალი ტიპი დაამკვიდრა (Klepek and Starzyczna, 2018).

ცხრილი 1.1. ტრადიციული მედიის და სოციალური მედიის შედარებითი დახასიათება

ტრადიციული მედია	სოციალური მედია
ფიქსირებულია და უცვლელია	მყისიერად განახლებადია
კომენტარები შეზღუდულია	კომენტარები შეუზღუდავია
შეზღუდულია დროში	დროში შეუზღუდავია
არქივები ცუდადაა ხელმისაწვდომი	არქივები ხელმისაწვდომია
მედია მიქსი შეზღუდულია	მედია მიქსი შეუზღუდავია
გამომცემელი კომიტეტი აა წარმოდგენილი	ინდივიდუალური გამომცემლებია
საბოლოოა	უსასრულოა
გაზიარება რეკომენდებული არაა	გაზიარება წახალისებულია
თავისუფალია	კონტროლდება

წყარო: Stokes and Quirk (2013)

სოციალური მედია ბაზრის ყველა მონაწილისათვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა (Panahi et al., 2012). მომხმარებლებისათვის იგი წარმოადგენს საქონლის შესახებ მოსაზრებებისა და რეკომენდაციების სანდო წყაროს, ხოლო საწარმოებისათვის კი იგი უზრუნველყოფს საბაზრო შეთავაზებების, მყიდველთა მოთხოვნილებებისა და მოლოდინის, აგრეთვე ბაზართან კომუნიკაციის არხების შესახებ უკუკავშირების არსებობას (Hsu et al., 2013).


სოციალური მედიის ტიპები. სოციალური მედიის მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია კონტენტის შექმნისა და გაზიარებისათვის. სოციალური მედიის სხვადასხვა კატეგორიის არსებობა საშუალებას აძლევს ადამიანებს, იპოვონ ისეთი ჯგუფები, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკს, სქესს, ინტერესებს და შეხედულებებს. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანები, როგორც წესი, ურთიერთობენ ისეთ ადამიანებთან, რომლებიც გარკვეული ნიშან-თვისებებით ერთმანეთის მსგავსნი არიან (Kadushin, 2012). სოციალური მედიის ტიპები და მათი დახასიათება მოცემულია ქვემოთ (Mangold and Faulds, 2009; Solis, 2010; Kim et al., 2010; Kaplan and Haenlein, 2010; Fischer and Reuber, 2011):

- 1) **სოციალური ქსელები** - ისინი ინტერნეტმომხმარებელს ერთმანეთთან კონტაქტის, ინფორმაციის გაზიარებისა და გართობის საშუალებას აძლევს, ასევე ფოკუსირებულია მათთვის საინტერესო თემებზე და მოვლენებზე (მაგალითად, Facebook, MySpace)
- 2) **კონტენტსაზოგადოება (სერვისები, რომლებიც მულტიმედიის გაზიარების საშუალებას იძლევა)** ისინი საშუალებას იძლევა, რომ გამოქვეყნდეს ვიდეოები, ფოტოები და პრეზენტაციები, აგრეთვე სხვა მომხმარებლების მიერ მათზე გაკეთებული კომენტარები და შეფასებები (მაგალითად, YouTube, Vimeo, iTunes, Flickr, SlideShare).
- 3) **პერსონალური ბლოგები** - ცალკეული ადამიანების მიერ დაწერილი დღიურები, რომლებიც ეხება განსაზღვრულ თემას (მაგალითად, მოდას, კულინარიას, კულტურას ან პოლიტიკას). ბლოგის ავტორი წარმოადგენს თავის შეხედულებებს და რეკომენდაციებს, რომლებზედაც შესაძლებელია კომენტარების გაკეთება (მაგალითად, Makelifeeasier (blog by Polish Prime Minister's)).
- 4) **კომპანიების მიერ დასპონსორებული ბლოგები (კორპორაციული ბლოგები)** - ორგანიზაციის ონლაინდღიური, რომელიც ეხება ბიზნესთემატიკას. მასში აღწერილია ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენები, აგრეთვე ისეთი თემები, რომლებიც ამ ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამის დარგს უკავშირდება (მაგალითად, Google Blog, PlayStation Blog).
- 5) **მიკრობლოგები** - რეალურ დროში მოკლე შეტყობინებების პუბლიკაცია, რომლებსაც ხედავენ ადამიანები მაშინ, როცა მომხმარებლის პროფილს ათვალიერებენ (მაგალითად, Twitter).
- 6) **ფორუმები (ინტერნეტდისკუსიის ფორუმები)** – ონლაინსადისკუსიო ჯგუფები, რომლებიც გამოიყენება ინტერნეტმომხმარებლებს შორის ინფორმაციის, მოსაზრებებისა და იდეების გაცვლისათვის. დარგის ან ცალკეული პიროვნებების გათვალისწინებით ისინი შეიძლება იყოს ზოგადი ან სპეციალიზებული თემატიკის (მაგალითად, Cycling Forum, Audi Club Poland Forum).

- 7) **ბიზნესქსელის საიტები** – საზოგადოება, რომელიც ფოკუსირებულია განსაზღვრული სპეციალობის ან ინტერესების ფარგლებში პროფესიულ განვითარებაზე და გამოცდილების გაზიარებაზე (მაგალითად, LinkedIn).
- 8) **კოლაბორაციული ვებსაიტები (Wiki)** - ერთობლივი მუშაობისათვის განკუთვნილი ვებსაიტები, რომელთა რედაქტირება შეუძლია ნებისმიერ მსურველს ან მხოლოდ განსაზღვრულ მომხმარებლებს (მაგალითად, Wikipedia).
- 9) **ვირტუალური სამყარო და თამაშები** - ინტერნეტ თამაშები, რომლებიც ასახავს რეალობას ან ფანტაზიას. საჭიროა ავატარის, კერძოდ, ვირტუალური თანამოაზრე (alter ego) მოთამაშის შექმნა (მაგალითად, Second Life, World of Warcraft).
- 10) **სოციალური სანიშნეების საიტები** – ინტერნეტში მოძიებული კონტენტის შეფასება და რეკომენდაცია (მაგალითად, Digg).
- 11) **ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფის საზოგადოებები** - საზოგადოება, რომელიც ერთობლივად ქმნის პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტებს (მაგალითად, Linux).
- 12) **კრეატორსინგული საიტები** - ინფორმაციის გაცვლა საწარმოს და მომხმარებელთა საზოგადოებას შორის, რომლის წევრები გამოთქვამენ მოსაზრებებს საწარმოს პროექტების, პროდუქციის ან პროცესების ინოვაციების შესახებ (მაგალითად, My Starbucks Idea).
- 13) **სოციალური შოპინგის საიტები** - საწარმოს ან პროდუქციის შეფასება და მათზე რეკომენდაციების გაცემა (მაგალითად, Wanelo, Kaboodle).

თანამედროვე ეტაპზე სოციალური მედია ფართოდაა გავრცელებული, ამიტომ მისი მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2024 წელს მსოფილო მასშაბით სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობამ 2023 წელთან მიმართებით 5.6% -ით მოიმატა და 5.04 მილიარდ ადამიანს მიაღწია. ესაა მსოფლიოს მთლიანი მოსახლეობის 62.3% და ინტერნეტში ჩართული ადამიანების 94.2 % (Statista, 2024a). სოციალური მედიის პლატფორმებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულს წარმოადგენს სოციალური ქსელები (datareportal, 2024a). ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ

სოციალურ მედიაში წვდომის მაღალი დონით გამოირჩევა აშშ და ევროპა. მაგალითად 2024 წელს აშშ-ს მოსახლეობის 91% აქტიურად იყო ჩართული სოციალურ მედიაში (Statista, 2024b). 2024 წლის იანვრის მონაცემებით, სოციალურ მედიაში ჩართულობის მაღალი დონით გამოირჩევა ჩრდილოეთი და დასავლეთ ევროპა (შესაბამისად, 81,7% და 80,2%), ხოლო სამხრეთ ევროპისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 74,8%-ს (Statista, 2024c). საქართველოსთან მიმართებით, 2024 წელს ეს მაჩვენებელი არის 78,7% (DataReportal, 2024b). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2023 წელს ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საწარმოების 60,9% კლიენტებთან ურთიერთობისათვის აქტიურად იყენებდა სოციალურ მედიას (Eurostat, 2024).



ნახ. 1.2. სოციალური მედიის პლატფორმების მომხმარებელთა რაოდენობა 2024 წელს (მლრდ)
წყარო: datareportal (2024a)

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური მედიის ტიპების სტრუქტურა ამომწურავი როდია. ვირტუალურ გარემოში მიმდინარე მოვლენები და ახალი ტექნოლოგიების განვითარება იწვევს სოციალურ მედიაში უამრავ ცვლილებებს, რაც, თავის მხრივ, ზოგიერთი ტიპის პოპულარობის შემცირებას ან მატებას განაპირობებს. ამიტომ მკვლევრები ცდილობენ, მოახდინონ სოციალური მედიის კატეგორიებად დაყოფა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა Kaplan and Haenlein-ის (2010) მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის სქემა, რომელიც ნაჩვენებია 1.2 ცხრილში.

ცხრილი 1.2. სოციალური მედიის კლასიფიკაცია


		სოციალური ჩართულობა		
		დაბალი	საშუალო	მაღალი
თვითრეზენ-ტაცია	მაღალი	ბლოგები	სოციალური ქსელები, მაგ. Facebook	ვირტუალური სოციალური სამყარო, მაგ. Second Life
	დაბალი	კოლაბორაციული პროექტები, მაგ. Wikipedia	კონტენტსაზოგადოებები, მაგ. YouTube	ვირტუალური თანამშის სამყარო, მაგ. World of Warcraft

წყარო: Kaplan and Haenlein (2010)

სოციალურ მედიაში არის შვიდი ფუნქციური ბლოკი, რომლებიც გვიხსნის, თუ როგორ მუშაობს იგი. ეს არის შემდეგი ბლოკები: იდენტურობა, საუბრები, გაზიარება, ყოფნა, ურთიერთობა, რეპუტაცია და ჯგუფები. ეს ბლოკები შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონტრიბუცია კომპანიის მარკეტინგულ სტრატეგიაში (Kietzmann et al., 2011). იდენტურობა აღწერს, თუ როგორ წარმოჩინდებიან მომხმარებლები სოციალურ მედიაში. ეს ბლოკი შეიცავს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას, რომლებიც მომხმარებლებს საკუთარი თავის გამჟღავნების საშუალებას აძლევს. ასეთია, მაგალითად, მომხმარებელთა დემოგრაფიული მონაცემები, პროფესია, ადგილმდებარეობა და სხვა. საუბრები მომხმარებელთა კომუნიკაციის ხერხია, რომელიც მოიცავს საუბრის მოტივაციას, სიხშირეს და კონტენტს. სოციალური მედიის ზოგიერთი ტიპის მიზანია, დაეხმაროს ცალკეულ პიროვნებებს ან ადამიანთა ჯგუფებს ერთმანეთთან საუბრების წარმართვაში. თავის მხრივ, ფორმები ცდილობენ, მომხმარებლების მიერ საუბრების ინიცირება და შემდგომში მათი მანიპულირება მოახერხონ. გაზიარების მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ, თუ როგორი სისწრაფით ხორციელდება სხვადასხვა მონაწილეს შორის კონტენტის გაცვლა. ყოფნა განსაზღვრავს სოციალური მედიის პლატფორმებისადმი მომხმარებელთა წვდომას. ურთიერთობა ასახავს მონაწილეებს შორის კავშირებს. კვლევები ადასტურებს, რომ იდენტურობასა და ურთიერთობებს არსებობს შორის მჭიდრო კავშირი. კერძოდ, რაც მეტად აფასებს

სოციალური მედიის საზოგადოება იდენტურობას, მით უფრო მაღალია ამ საზოგადოებაში ურთიერთობების დონე. რეპუტაცია არის საზომი იმისა, თუ როგორ ახდენენ მომხმარებლები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობისას. ჯგუფები - ესაა საზოგადოება ან სუბსაზოგადოება, რომლებიც მიჩნეულია, როგორც სოციალური მედიის სამშენებლო ელემენტები (Kaplan and Haenlein, 2010; Kietzmann et al., 2011).

ზემოთ ჩამოთვლილი ბლოკების ანალიზი საფუძვლად უდევს სოციალურ მედიაში ჩართულობის მოდელს (იხ.ნახ.1.3), რომელიც შემუშავებულია Parent-ის და მისი კოლეგების მიერ (Parent et al., 2011).



ნახ. 1.3. სოციალურ მედიაში ჩართულობის მოდელი

წყარო: Parent et al. (2011)

ამ მოდელის თანახმად, კონტენტის მეშვეობით ფირმა უზიძგებს მომხმარებელს, ჩაერთოს სოციალური სფეროში, რამაც შეიძლება მისთვის კატალიზატორის როლი შეასრულოს. ასეთი ქმედების შედეგად კონტენტი იცვლება და სოციალური მედიის წევრებს შორის ვრცელდება. ამის შემდგომ ფირმა, მისი პირდაპირი კონტროლის საფუძველზე, ქმნის ახალ კონტენტს. შესაბამისად, კომუნიკაცია ორმხრივ მიმართულებას ღებულობს. როცა ასეთი მოვლენის შედეგად წარმოიქმნება მრავალი


საუბარი, ეს ნიშნავს იმას, რომ გამოხატულია მომხმარებელთა ჩაბმის პროცესი, რომელიც სოციალური მედიის ერთ-ერთ ბლოკს - ყოფნას შეიძლება მივაკუთვნოთ. აღნიშნულ მოდელი, რომელსაც ლიტერატურაში სოციალურ მედიაში ჩართულობის 6C მოდელს უწოდებენ, ნაჩვენებია 1.2 ნახაზზე.

1.3. სოციალური მედია მარკეტინგის თანამედროვე ხედვა

ტერმინი „სოციალური მედია მარკეტინგი“ გულისხმობს მარკეტინგული მიზნებისათვის სოციალური მედია პლატფორმის ონლაინ გამოყენებას. ზოგიერთი მეცნიერი სოციალურ მედია მარკეტინგს მხოლოდ პრომოციის კუთხით განიხილავს და ნაკლებ ყურადღებას აქცევს მომხმარებლებთან ურთიერთქმედების ასპექტებს და მათგან მიღებულ სარგებელს. მაგალითად, Akar და Topcu (2011) განმარტავენ სოციალურ მედია მარკეტინგს, როგორც „სოციალური მედიის არხების გამოყენებას კომპანიისა და მისი პროდუქციის სტიმულირებისათვის“ (Akar and Topcu, 2011). ასეთი მოსაზრება ემთხვევა Drury (2008)-ის მიერ შემოთავაზებული განმარტებას, რომლის არსი შემდეგნაირია: „სოციალური მედია - ესაა სოციალური მედიის არსებული პლატფორმების გამოყენება მომხმარებლებში ბრენდის ცნობადობის ამაღლების მიზნით, რომელიც WOM პრინციპების მეშვეობით ხორციელდება“ (Drury, 2008).

ბოლო წლების განმავლობაში ორგანიზაციები აცნობიერებენ სოციალური მედიის როლს კორპორაციული იმიჯის, რეპუტაციისა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ფორმირებაში. ამიტომ ისინი წარმატებით ნერგავენ სოციალურ მედიას თავიანთ მარკეტინგულ საქმიანობაში. სოციალური მედია ავითარებს ორმხრივ კავშირებს ბაზართან, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, უკეთ გააცნობიერონ პოტენციური მყიდველების მოთხოვნილებები, რომელზედაც დროულად უნდა იმოქმედონ (Parveen et al., 2016). ამასთან, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მარკეტინგზე, მომხმარებლებზე და ელექტრონულ კომერციაზე (Shin et al., 2015).

სოციალური მედიის შედეგად კორპორაციული კომუნიკაციის ყველა ასპექტი იცვლება. კომპანიებს სულ უფრო ნაკლებად შესწევთ ძალა, კომუნიკაციები აკონტროლონ, ვინაიდან კონკურენტებისა და მომხმარებლების შესაძლებლობები ინფორმაციებისადმი წვდომის თვალსაზრისით, თანდათანობით მატულობს (Argenti, 2006). წინათ სარეკლამო მიმართვების უმეტესი ნაწილი მომხმარებლებს მიეწოდებოდა იმ მიზნით, რომ კორპორაციული მიზნების შესახებ მათი ინფორმირება ან დარწმუნება მოეხდინათ. დღეისათვის ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, რომ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის დიალოგი წარიმართოს რეალურ დროში, რაც შედარებით სტატიკურ, ფორმალურ და ხშირად რეაქციულ კორპორაციულ მიმართვებს ანაცვლებს (Schultz and Kitchen, 2004). 1.4 ნახაზზე მოცემულია სოციალურ მედიასთან დაკავშირებული მარკეტინგის კომუნიკაციური მოდელი (Sharma and Verma, 2018).



ნახ. 1.4. კომუნიკაციის მოდელი სოციალური მედიის და ტრადიციული არხების მეშვეობით
 წყარო: Sharma and Verma (2018)

მოდელი ასახავს სოციალური მედიისა და ტრადიციული არხების მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაციური ნაკადების შესახებ ინტეგრირებულ ხედვას. წარმოდგენილი მოდელი ითვალისწინებს მრავალმიმართულებიან ინტერაქტიულ ურთიერთობებს როგორც ბრენდსა და მომხმარებელს, ასევე უშუალოდ მომხმარებლებს შორის (Sharma and Verma, 2018).

კრისტინ ჰეროლდმა, კვლევით სააგენტოებთან Clutch-თან და Smart Insights-თან თანამშრომლობით, ჩაატარა კვლევა და დაადგინა, რომ სოციალური მედიის მარკეტოლოგების 52%-ის მოსაზრებით, სოციალურმა მედიამ გავლენა მოახდინა მათი კომპანიის ეფექტიანობაზე და გაყიდვების მოცულობაც გაზარდა (Herold, 2017). მკვლევრებმა ასევე დაადგინეს, რომ დღეისათვის თინეიჯერების რაოდენობის მესამედისათვის Instagram ყველაზე უფრო პოპულარული სოციალური ქსელია, ამიტომ მომდევნო წლებში კომპანიებისათვის Instagram-ის მოხმარება მკვეთრად გაიზრდება (Herold, 2017). Tom Pick (2016)-ის თანახმად, „სოციალური მედია მნიშვნელოვანია დღეს, მაგრამ ხვალისთვის კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდობის 90% იყენებს სოციალურ ქსელებს“ (Pick, 2016). მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი მოსალოდნელ სირთულეებზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, Frank Grillo (2017) ამტკიცებს, რომ სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობის მასშტაბური ზრდის მიუხედავად, ორგანიზაციების მცდელობა, გამოიყენონ სოციალური მედია, არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა (Grillo, 2017). Wonsun Shin -მა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ გლობალური ორგანიზაციები სოციალურ ქსელებს, კერძოდ, Facebook-ს და Twitter-ს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის განვითარებისათვის (Shin et al., 2015). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ პლატფორმების გამოყენების ხერხები ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ ისინი, უმეტესწილად, ორიენტირებულია ინფორმაციის გავრცელებაზე და არა მომხმარებლებთან ურთიერთქმედებაზე. ამიტომ პლატფორმები, ჩვეულებრივ, მიმართულია ერთმხრივი კავშირის დამყარებაზე და არა ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. ასევე აღსანიშნავია Christine Moorman-ის მიერ ჩატარებული კვლევა,

რომლის თანახმადაც, ორგანიზაციების 41% ვერ ადგენს, თუ რამდენია სოციალურ მედიაში მათი დანახარჯი (Moorman, 2016).

სოციალური მედია განსხვავდება სხვა ტექნოლოგიებისაგან. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სოციალურ მედიას, სხვა მარკეტინგულ არხებთან შედარებით, ადვილად გამოსაყენებელი და მომხმარებლებზე ორიენტირებული ინსტრუმენტები გააჩნია, რითაც მას მომხმარებლებზე უფრო მეტად პირდაპირი და სწრაფი გავლენის მოხდენა შეუძლია (Rialp-Criado and Rialp-Criado, 2018). სოციალური მედია იყენებს მობილურ და ვებტექნოლოგიებს ინტერაქტიული პლატფორმების შესაქმნელად, რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდებს ან ადამიანთა ჯგუფებს, კონტენტი ერთმანეთს გაუზიარონ და ერთობლივად შექმნან (Kietzmann et al., 2011).

სოციალური მედიის ზრდამ გამოიწვია კომუნიკაციური რევოლუცია, რომელმაც ხელი შეუწყო ინტერნეტის მეშვეობით სოციალური პლატფორმების შექმნას. ამან ასევე განაპირობა სოციალური კავშირების გაფართოება, რომელმაც ინტერნეტ მომხმარებლებს შორის ფსიქოლოგიური განწყობა აამაღლა (Thoren et al., 2013; Nabi et al., 2013). თანამედროვე ონლაინ ლანდშაფტში მომხმარებლები მიმართავენ სოციალურ მედიას საკუთარი აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით, რაც მასობრივი ინფორმაციის ამ საშუალებას ხდის იდეალურ ინსტრუმენტად რეკლამის განმათავსებლებისათვის, რათა მათ ხელსაყრელი ურთიერთობები დაამყარონ თავიანთ მომხმარებლებთან (Hair et al., 2010). თავის მხრივ, ინტერნეტ მომხმარებლები სასურველი პროდუქტის შესახებ ინფორმაციას მოიძიებენ სოციალურ მედიაში განთავსებული მიმოხილვებიდან (Clemons, 2009). საქონლის ან მომსახურების შეძენამდე კი მომხმარებლები სოციალურ ქსელებში მუდმივად ეძებენ მიმოხილვებს პროდუქტის შესახებ (Akar and Topçu, 2011). დადგენილია, რომ ონლაინ მომხმარებელთა 60% ენდობა საქონლის შესახებ სხვა მომხმარებლების გამოხმაურებებს (Blackshaw and Nazzaro, 2006). ამასთან, ტრადიციულ მარკეტინგულ შეტყობინებებთან შედარებით, ელექტრონული WOM-ის მიმართ მომხმარებლები უფრო სერიოზულ დამოკიდებულებას აჩვენებენ (Akar and Topçu, 2011). ასევე დადგენილია, რომ ონლაინ მომხმარებლები, რომლებიც იყენებენ სოციალური ქსელის საიტებს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, სოციალური ქსელების მეშვეობით სხვებს თავიანთი

გამოცდილება გაუზიარონ (Valsesia et al.,2022). აღსანიშნავია ისიც, რომ ის ინტერნეტ მომხმარებლები, რომლებიც ბლოგებს მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ, სავარაუდოდ, მას მომავალშიც აქტიურად გამოიყენებენ. მომხმარებლების მიერ ბლოგების შემდგომი გამოყენების განზრახვაზე კი გავლენას ახდენს მათი კმაყოფილების დონე (Shiau and Luo, 2013).

სოციალური მედია მარკეტინგი გულისხმობს სხვადასხვა სახის სოციალური მედიის გამოყენებას კომპანიის საქონლისა და მომსახურების პრომოციისათვის. ინტერნეტ მარკეტინგის ეს სახე, ჩვეულებრივ, განიხილება ინტერნეტ პრომოციის სტრატეგიებში, რომლებსაც მიეკუთვნება აგრეთვე ელექტრონული ფოსტა და ინტერნეტ სარეკლამო კამპანიები (Barefoot and Szabo, 2010). შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედიის მეშვეობით მომხმარებლები რადიკალურად ემსგავსებიან მარკეტოლოგებს ან რეკლამის განმათავსებლებს, რომლებიც ხშირად დადებითად ან უარყოფითად ზემოქმედებენ კომპანიის მიერ შემოთავაზებულ ფასეულობებზე (Roberts and Kraynak, 2008). სოციალური მედია მარკეტინგის დახმარებით ადამიანებს შეუძლიათ, თავიანთი საქონელი და მომსახურება შესთავაზონ ფართო საზოგადოებას და მისგან მიიღონ უკუკავშირები, რაც ტრადიციული რეკლამის შემთხვევაში მიუღწეველია (Weinberg, 2009).

მეორე მხრივ, სოციალური მედია ხელს უწყობს მარკეტოლოგებს, მოახდინონ თავიანთი საქონლისა და მომსახურების შესახებ მოსაზრებებისა და ინფორმაციის გაცვლა მომხმარებლებს შორის (Jamil et al., 2022). ამასთან მიმართებით, საინტერესოა აგრეთვე ვირუსული რეკლამის გავრცელება, რომელიც წარმოადგენს ინტერნეტის გამომყენებელი სპონსორის მიერ პროვოკაციული კონტენტის უფასო კომუნიკაციას და მიზნად ისახავს აუდიტორიის დარწმუნებას ან მასზე ზემოქმედებას, რათა ამ უკანასკნელმა კონტენტი სხვას გადასცეს (Ontario, 2008). ასეთი სარეკლამო მიმართვის დროს რეკლამის განმათავსებლები თავდაპირველად უგზავნიან შეტყობინებებს თავიანთ მიზნობრივ მომხმარებლებს, რომლებიც მიღებულ ინფორმაციას შემდეგში უზიარებენ სხვებს (Southgate et al., 2010). ასეთმა მიდგომამ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა სოციალურ მედიაში, რამაც მომხმარებლების მიერ რეკლამაზე რეაგირების დრო მკვეთრად შეამცირა (Marken, 2007). სოციალური მედია დაეხმარა

მარკეტოლოგებს, რათა მათ თავიანთი მიზნობრივი მომხმარებლები გადაეყვანათ შეტყობინებების გამავრცელებლებად (IAB, 2009). დღეისათვის სოციალური მედია გადაიქცა მარკეტინგის წარმატებული სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად (Miller and Lammas, 2010). მაგალითად, ინტერნეტ მაღაზიები, მიზნობრივი აუდიტორიის ფართოდ მოზიდვისათვის, ცდილობენ, სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების შესახებ სრულფასოვნად გაერკვნენ (Goh et al., 2013; Rapp et al., 2013).

1.4. სოციალური მედიის გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის მნიშვნელოვანი ხელმისაწვდომობის ეპოქაში, სწრაფად იცვლება. გლობალიზაციის, საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლის, დაჩქარებული სამეცნიერო პროგრესისა და ციფრული ეკონომიკის შედეგად, მომხმარებლებმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდულმა სეგმენტმა და მათმა ქცევამ არსებითი ცვლილებები განიცადეს (Wilska et al., 2023). დიჯიტალიზაციის გავლენით კომუნიკაციები, უმეტესწილად, ფიზიკური სამყაროდან ვირტუალურ სამყაროში გადავიდა, რამაც კომპანიების მიერ ბაზარზე თავიანთი პროდუქციის რეკლამირება საგრძნობლად შეცვალა (Yang et al., 2023). ამის გამო დღეისათვის, როგორც არასდროს, ტექნოლოგიები გადამწყვეტ როლს თამაშობს მარკეტინგში, ვინაიდან ისინი საშუალებას აძლევს კომპანიებს, მომხმარებლებს უფრო წარმატებით დაუკავშირდნენ (Ryan, 2014; Matsuzaka et al., 2023). განსაკუთრებით, მომხმარებელთა ქცევის თვალსაზრისით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მარკეტინგში დიჯიტალიზაციის გამოყენება წარმოადგენს რევოლუციას (Kingsnorth, 2022). დღეისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ციფრული მარკეტინგის პოტენციალისა და ინტერნეტსივრცეში საქონლისა და მომსახურების წარმატებული პრომოცია. ციფრული მარკეტინგის ძირითად არხს, რომელიც ფართოდ გამოიყენება და კარგადაა ცნობილი, წარმოადგენს სოციალური მედია (Charlesworth, 2018; Chaffey and Ellis-Chadwick, 2022).

21-ე საუკუნის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს სოციალური მედიის მეშვეობით შეტყობინებების გაგზავნის შესაძლებლობა. ასეთი სიგნალები გავლენას ახდენენ მომხმარებელთა ქცევის მრავალ ასპექტზე, როგორცაა ინფორმაციის მოძიება, მოსაზრებების ფორმირება, ბრენდის ცნობადობის ამაღლება, მყიდველობითი გადაწყვეტილებების მიღება და სხვა (Ionas, 2014; Matin et al., 2022; Todua, 2022a). სოციალურ მედიაში ჩართული მომხმარებლების ქცევის გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიზნესში, ვინაიდან ელექტრონული კომერციის სფერო მუდმივად ვითარდება. ამიტომ კომპანიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთი კლიენტების ქცევის გაგების გაუმჯობესებას, თუ მათ სურთ, რომ შემოსავლების ოპტიმიზაცია მოახდინონ (Karimi et al., 2015; Fetais et al., 2023). თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მომხმარებელთა ქცევა ფუნდამენტურად იცვლება ონლაინმეთოდების გამოჩენასთან ერთად. წინათ ადამიანები მყიდველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, ძირითადად, ეყრდნობოდნენ მარკეტინგულ ან ექსპერტულ რეკომენდაციებს. დღეისათვის ისინი, ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, უფრო მეტად ითვალისწინებენ ინტერნეტში გაკეთებულ კომენტარებს და მოსაზრებებს, რომლებიც გამოთქმულია სოციალურ მედიაში (Alsubagh, 2015).

თანამედროვე მომხმარებლების შეხედულებებზე, დამოკიდებულებებზე და მოსაზრებებზე ძლიერ გავლენას ახდენს სოციალური მედია, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს მათ მყიდველობით გადაწყვეტილებებზე (Alsubagh, 2015; Xhema, 2019). სოციალური მედიის გამოყენებით კომპანიებს შეუძლიათ დადებითად იმოქმედონ მომხმარებლებზე, რათა თავიანთი ბრენდების ცნობადობა აამაღლონ (Al-Sheikh and Hasanat, 2020), სიტყვიერი მარკეტინგი გააუმჯობესონ (Li and Wu, 2018) და გაყიდვების მოცულობა გაზარდონ (Coursaris et al., 2016). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ასეთი ქსელური კავშირები დიდწილად გავლენას ახდენენ მომხმარებელთა ნდობაზე (Hajli, 2014). ყოველივე ამის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედია უზრუნველყოფს ბიზნესში ისეთი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით მომხმარებელთა ქცევაზე გავლენას ახდენენ და მათ მიმართ ნდობის ამაღლებას უზრუნველყოფენ (Usman and Okafor, 2019).

ბოლო ხანებში მომხმარებლები რამდენიმე ონლაინ საზოგადოების წევრები არიან. ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ, მომხმარებელთა მყიდველობითი ქცევა შეცვალონ (Solomon, 2010). უმეტეს შემთხვევაში ინფორმაცია, რომელიც მიღებულია მედია საშუალებებიდან, ადამიანების მყიდველობით გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს (Solomon, 2010). East და სხვებმა (2016) დაადგინეს, რომ სოციალური მედია უზარმაზარ გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ მყიდველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე (East et al., 2016). ამ შემთხვევაში ინფორმაციის ელექტრონულად ზეპირი გავრცელება (Electronic word-of-mouth – eWOM) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს, თავიანთი მოსაზრებები და გამოცდილებები გააზიარონ, რაც, თავის მხრივ, სხვების მყიდველობით გადაწყვეტილებებზე მოქმედებს. მარკეტინგული კომუნიკაციების სხვა სტრატეგიებთან შედარებით, eWOM წარმოადგენს ყველაზე უფრო ადაპტირებულ, მისაწვდომ, სწრაფ და ეფექტიან კომუნიკაციას (Brown et al., 2007 ; Yones et al., 2023).

მომხმარებელთა ონლაინ ქცევაზე ასევე გავლენას ახდენენ სხვადასხვა ფორმის რეფერენტული ჯგუფები. მათ შორის ყველაზე უფრო საგულისხმოა ინტერნეტ საზოგადოებები. ეს აიხსნება იმით, რომ ონლაინ გარემოში რეფერენტული ჯგუფის წევრებს შორის მოსაზრებებისა და გამოცდილებების გაცვლა შესაძლებელია იყოს წარმატებული ან წარუმატებელი (Schiffman et al., 2012). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში სოციალურ მედიაში მომხმარებელთა აქტიურობა მკვეთრად გაიზარდა, რაც მეცნიერთა დაინტერესებას იწვევს. მკვლევრებს განსაკუთრებით აინტერესებთ მომხმარებელთა იმ პოსტების ანალიზი, რომლებიც განთავსებულია ვებ გვერდებზე (Hajli, 2014). მაგალითად, Sharma-მ და Rehman-მა (2012) აღმოაჩინეს, რომ კომპანიების, პროდუქტებისა და ბრენდების შესახებ დადებითი ან უარყოფითი eWOM მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გაყიდვებზე, იმიჯზე და მომხმარებელთა მყიდველობით ქცევაზე. ანალოგიურად, Wang და სხვებმა (2012) გამოკვივილეს, რომ სხვადასხვა ჩატ-ჯგუფების მეშვეობით ონლაინ მომხმარებლების ურთიერთქმედება მყიდველობით არჩევანზე ორნაირ გავლენას ახდენს. ერთია კონკრეტული პროდუქტის რეკლამირება მეგობრებსა და ახლობლებში, მეორე - პროდუქტის შემუშავებაში მომხმარებელთა აქტიური მონაწილეობა (Wang et al., 2012).

სოციალური მედია წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების განუყოფელ ნაწილს, რომელიც თავიანთ მომხმარებლებთან კომპანიებს ურთიერთობის ფართო შესაძლებლობებს აძლევს (Abid et al., 2023). სოციალური მედია კომპანიებისათვის გახდა იდეალური პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს თავიანთი პროდუქტების პოპულარიზაციას და გაყიდვებს, ახალი ინფორმაციისა და სასარგებლო პროდუქტების მოძიებას, აგრეთვე მომხმარებლებთან აქტიურ კომუნიკაციას (Jacobson et al., 2020). სოციალურმა მედია პლატფორმებმა, ახალი კონტენტის შექმნისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ახალი შესაძლებლობების ფორმირების მეშვეობით, ინტერნეტში მომხმარებლებთან სოციალური ურთიერთქმედების თვალსაზრისით, რევოლუცია მოახდინა. ეს პლატფორმები მომხმარებლებისათვის გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ერთმანეთთან ურთიერთობის, მოსაზრებების გაზიარებისა და ონლაინ საზოგადოებების საქმიანობაში წვლილის შეტანით, მნიშვნელოვანი მარკეტინგული ინსტრუმენტი გახდა (Hajli, 2014; Yang et al., 2023).

1.5. სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენების ძირითადი ასპექტები ჯანდაცვაში

ჯანდაცვის თანამედროვე პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, პაციენტებთან ურთიერთობების გაუმჯობესება, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან ცოდნის გაზიარება და ჯანდაცვის სექტორის პრობლემების გადასაწყვეტად კოლეგებთან თანამშრომლობა (Crie and Chebat, 2013). ჯანდაცვის ორგანიზაციების მარკეტინგული და კომუნიკაციური სტრატეგიები სოციალური მედია მარკეტინგისგან განსხვავებულია. დღეისათვის, ჯანდაცვის სფეროში ცოდნის მართვის საქმეში, სოციალური მედია ფასეულ რესურსად გადაიქცა. თანამედროვე ცივილიზაცია ხელს უწყობს ჯანდაცვასთან დაკავშირებული უნარების, ცოდნისა და გამოცდილებების ყოველდღიურ ზრდას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია სამედიცინო ცოდნის შექმნა. ციფრული კომუნიკაციების ერაში ჯანდაცვის სპეციალისტებმა დაიწყეს სხვადასხვა პლატფორმების გამოყენება ცხოვრების ჯანსაღი

წესისა და ცხოვრების მაღალი ხარისხის რეკლამირებისათვის. ჯანდაცვის ექსპერტების მოსაზრებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საუკეთესო ინსტრუმენტს წარმოადგენს სოციალური მედია, რომელიც მრავალფეროვან პროგრამებს გვთავაზობს. ჯანდაცვის სფეროში მათი ინტეგრირებისათვის აუცილებელია, გავაცნობიეროთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მარკეტინგს, მათ შორის სოციალურ მედია მარკეტინგს კონკრეტულ პროცესებში (Rolls et al., 2016; Jakeli and Djakeli, 2016; Todua, 2022b; Todua et al., 2024).

რაც შეეხება სასარგებლო ინფორმაციებისა და რეკომენდაციების გავრცელებას ისეთ ინფექციურ დაავადებებთან მიმართებით, როგორცაა დიაბეტი, სიმსუქნე, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, აივ ინფექცია, C ჰეპატიტი და სხვა, კვლევები გვიჩვენებს, რომ სოციალური მედია მათზე კარგ გავლენას ახდენს (Swan et al., 2019). ვინაიდან სოციალურ მედიას შეუძლია მოიცვას საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი აუდიტორია, ის წარმოადგენს ჯანდაცვის ინდუსტრიაში ახალი ინფორმაციის გავრცელების ყველაზე უფრო ეფექტიან საშუალებას. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების „ბუმი“ სამომხმარებლო შესაძლებლობებს აუმჯობესებს. დღეისათვის, როგორც არასდროს, მომხმარებლებს აქვთ ფართო წვდომა მრავალ მონაცემთან, რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას, ახალ მარკეტინგულ რეალობასთან ადაპტირება მოახდინონ (Forbes, 2013).

ყველა ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხშირად სახელმწიფო აფინანსებს მაღალხარისხიან ჯანდაცვას, თუმცა ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი კერძო ორგანიზაციებსაც შეაქვთ. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების შემცირებისათვის შედარებით ეფექტიანი გადაწყვეტილებების აუცილებლობას განაპირობებს მკურნალობის ახალი ტექნოლოგიები და მეთოდები, აგრეთვე საზოგადოების მხრიდან მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ მაღალხარისხიან სამედიცინო მომსახურებასთან წვდომა ყველას ექნება (World Health Organization, 2020a). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევის თანახმად, ახალი მიდგომა, რომელიც მიღებულია ევროკავშირში 2020 წელს, მოწოდებულია, დაეხმაროს მთავრობებს და საზოგადოებას, ადამიანთა კეთილდღეობა გააუმჯობესონ და ჯანდაცვის სფეროში უთანასწორობა შეამცირონ (World Health Organization, 2020b).

უკანასკნელ ხანებში საკმაოდ აქტუალურია ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების (Healthcare Information Technology - HIT) დანერგვა, რომელიც, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, მნიშვნელოვნად ფართოვდება და გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. HIT - ესაა საინფორმაციო ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ჯანდაცვის სისტემაში ჯანმრთელობასთან დაკავსირებული მონაცემების შეგროვების, შენახვისა და გაცვლისათვის. მისი მიზანია პაციენტებზე ზრუნვა, მათი გათვითცნობიერების დონის ამაღლება და ექიმების მიერ უფრო დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება. HIT-ის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ჯანდაცვის ელექტრონული ჩანაწერები (Electronic Health Record- EHR), რომელსაც შეუძლია ჯანდაცვის სისტემა გარდაქმნას, პაციენტების მკურნალობა გააუმჯობესოს და მკურნალობაზე გაწეული დანახარჯები შეამციროს (Colicchio et al., 2016). ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიები დროთა განმავლობაში ფასდება, რომელშიც აქცენტი დანერგვის შედეგებზე კეთდება. მრავალ კვლევაში მოცემულია დამაჯერებელი მონაცემები, რომლებიც მკურნალობაზე HIT-ის სასარგებლო გავლენას ამტკიცებს (Crisan et al., 2023). HIT-ის დანერგვამ განსაკუთრებული მხარდაჭერა მოიპოვა ტელემედიცინაში. სამედიცინო მომსახურების დისტანციორად წარმართვისათვის ტელემედიცინა იყენებს ისეთ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, როგორცაა ვიდეოკონფერენციები და მოწყობილობები დაშორებული მონიტორინგისათვის. ტელემედიცინა საგრძნობლად განვითარდა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში. მან საშუალება მისცა სამედიცინო პერსონალს, ვირტუალური კონსულტაციები ჩაეტარებინა, დისტანციური მონიტორინგი და შორ მანძილზე ზოგიერთი მარტივი პროცედურაც კი გაეკეთებინა. ტელესამედიცინო მომსახურებები, რომლებიც კარგად აღიქმება როგორც სამედიცინო პერსონალის, ასევე პაციენტების მიერ, ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში ინტეგრაციის მაღალი ალბათობით ხასიათდება. საბოლოო მომხმარებლის მიერ HIT-ის დადებითად მიმღებლობა და ათვისება გადამწყვეტ როლს თამაშობს ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ ტელემედიცინის ფართოდ გამოყენების საქმეში (Jansen-Kosterink et al., 2019).

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, განსაკუთრებით, მობილური ტელეფონებისა და სმარტფონების გამოჩენის შემდეგ, მკვლევრები სულ უფრო მეტ

ყურადღებას აქცევენ ელექტრონულ და მობილურ ტექნოლოგიებს, როგორც ჯანდაცვის პრობლემების გადაჭრის საშუალებებს. ასეთი ტექნოლოგიების გამოჩენამ, პაციენტებზე ზრუნვისა და სამედიცინო მომსახურების წვდომის თვალსაზრისით, ჯანდაცვის სფეროში მათი აქტიური გამოყენებისადმი ინტერესი გაამძაფრა. მობილური მოწყობილობების აპლიკაციის, MHealth-ის პოპულარობა სულ უფრო იზრდება. ჯანდაცვის მობილური აპლიკაციები გვთავაზობს მრავალფეროვან მომსახურებას, როგორცაა, მაგალითად, ჯანდაცასთან დაკავშირებულ მოვლენებზე თვალ-ყურის დევნა, წამლის მიღების შეხსენება, ვირტუალური სწავლა და პაციენტების დისტანციური მონიტორინგი. ასეთი აპლიკაციები პაციენტებს შესაძლებლობას აძლევს, თავიანთი ჯანმრთელობის პრობლემები და კეთილდღეობა აქტიურად მართონ. ყოველივე ეს ხელს უწყობს პაციენტებს, თავიანთი მკურნალობის გეგმები უკეთესად დაიცვან და ცხოვრების ჯანსაღი წესი შეინარჩუნონ (Salgado et al., 2020). ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების დანერგვამ გააუმჯობესა პაციენტებზე ზრუნვა, ექიმების მიერ გადაწყვეტილებების მიღების ეფექტიანობა, რამაც, შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის ინდუსტრიაში რევოლუცია მოახდინა. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, HIT სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სამედიცინო დახმარების სრულყოფისა და ჯანდაცვაში გლობალური შედეგების გაუმჯობესების საქმეში.

ჯანმრთელობის შესახებ განახლებული ინფორმაციის წარდგენას უკავშირდება მომხმარებლების მიერ სოციალური მედია ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის უფრო ადაპტირებული არხების განვითარებას. მარკეტოლოგები აღიარებენ ე.წ. „ინფლუენსერებს“, როგორც ახალ კონკურენტებს. ბლოგები, ტვიტერი და სხვა სოციალური მედია პლატფორმები ხდება მთავარი მოთამაშე მარკეტინგულ ინდუსტრიაში, რომელიც ახდენს პოტენციური მომხმარებლების მოტივირებას (Carlsson-Szlezak et al., 2020).

არსებობს ონლაინ სოციალური ქსელებისა და ჯანდაცვის ვირტუალური საზოგადოებების (virtual health communities - VHCs) ორი ჯგუფი, რომლებისთვისაც ჯანდაცვის სფეროს მომხმარებლები და სპეციალისტები სოციალურ მედიას იყენებენ. ონლაინ სოციალური ქსელები აზიარებენ ზოგად ინფორმაციებს, საზოგადოებას

აცნობენ დაავადებების შესახებ, აღწერენ მიმდინარე სამედიცინო სიტუაციებს და ა.შ. VHCs - ესაა სოციალური მედიის პლატფორმის განსაკუთრებული სახე, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ ადამიანებმა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილონ. ჯანდაცვის ორგანიზაციებისათვის, როგორცაა, მაგალითად, საავადმყოფოები, ჯანდაცვის სისტემები, პროფესიული საზოგადოებები, ფარმაცევტული კომპანიები და პაციენტების ინტერესების დამცველი ორგანიზაციები, ასეთი ვებ-საიტები მომხმარებლებს თანამშრომლობის უამრავ ფუნქციებს და პლატფორმებს სთავაზობენ (Kordzadeh, 2016).

ზუსტი ინფორმაციის წარდგენა იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც ეჯახება ჯანდაცვის სისტემა, ამ სექტორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა (Verulava, 2020). ეკოლოგიური, ეკონომიკური, სიღარიბის დაძლევისა და სხვა სოციალური პრობლემები, რომლებიც არსებობს საზოგადოებაში, ეფექტიანად წყდება სოციალური მედიის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ამასთან, სოციალური მედიის გამოყენებისას პაციენტების პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება ჯანდაცვის სექტორის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. თუმცა, ამ ინსტრუმენტებს შეუძლია, დაეხმაროს ექიმებს, გადალახონ გეოგრაფიული და სოციალური ბარიერები, პაციენტებთან ურთიერთობები განამტკიცონ და თავიანთი ცოდნა გაავრცელონ (Donthu and Gustafsson, 2020). ჯანდაცვის სფეროში სოციალური მედიის მრავალფეროვანი ფუნქციის დანერგვამ განავითარა პაციენტების პრაქტიკული ცოდნა თავიანთი ჯანმრთელობის შესახებ, გაამარტივა დაწვრილებითი ინფორმაციის გაცვლა სამედიცინო ორგანიზაციებსა და სპეციალისტებს შორის. ყოველივე ამან, საბოლოო ჯამში, გამოიწვია მეცნიერების დაინტერესება, რათა მათ ჯანდაცვის სფეროში სოციალური მედიის ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით უფრო აქტიური საქმიანობა განახორციელონ (Khan, 2019). ამასთან, მარკეტოლოგები ცდილობენ, პაციენტებთან ურთიერთობები მაქსიმალურად სასიამოვნო გახადონ, რათა მეტი კლიენტები მოიზიდონ. ასეთი მიდგომა მოიცავს ჯანდაცვის ორგანიზაციების ვებ-საიტების ლამაზი დიზაინის შემუშავებას, ნავიგაციის გაუმჯობესებას, პაციენტებისათვის დამატებითი კომფორტის შეთავაზებას და ა.შ. სოციალური მედიის მომხმარებლების სწრაფმა ზრდამ ხელი შეუწყო ზოგიერთი სამედიცინო პროდუქტის

უპირატესობის წარმოჩენას, რამაც ფარმაცევტულ ინდუსტრიაში მათი მდგომარეობა გააუმჯობესა.

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ონლაინკომუნიკაციებმა შეიძლება მიიღოს არა მარტო ინტერაქტიული, არამედ კოლაბორაციული ფორმები (Verulava, 2020). მთლიანობაში, სოციალური მედია და იმტერნეტი გადაიქცა იდეალურ პლატფორმად ჯანდაცვის ორგანიზაციებისათვის თავიანთი მომსახურების პრომოციისა და გაყიდვებისათვის. კვლევები აჩვენებს, რომ მოზრდილებისათვის ონლაინ რეჟიმში ყოფნის ხანგრძლივობა, საშუალოდ, არის 2 საათი და 23 წუთი (Ismagilova et al., 2020). ეს დრო, ძირითადად, გამოიყენება ახალი თემების და პრაქტიკული მომხილვების მოძიებისათვის, აგრეთვე მეგობრებთან ურთიერთობებისათვის. ვებ-საიტები ეხმარება პაციენტებს, შეისწავლონ და ეფექტიანად მართონ თავიანთი დაავადებები. ასეთნაირად ვებ-საიტების მეშვეობით შესაძლებელია პაციენტების სტიმულირება, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ ისინი თავიანთი დაავადებების მკურნალობის სხვადასხვა ეტაპში. სოციალური ორგანიზაციები ამის საუკეთესო მაგალითია. ექიმების გლობალურ სოციალურ მედია ქსელში, SERMO-ში ჩართული აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, მექსიკისა და სამხრეთ აფრიკის მედიცინის 260 ათასი სპეციალისტის გამოკითხვით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს, რათა თავიანთ პაციენტებზე უკეთ იზრუნონ და მათი უსაფრთხოების დონე აამაღლონ (Koumpouros et al., 2015).

SERMO-ს ჯგუფის წევრები არა მარტო პირდაპირ ურთიერთობენ პაციენტებთან, არამედ ქმნიან უფასო ბლოგებს და ვიდეორგოლებს, რათა გააზიარონ ინფორმაციები და სხვებსაც ასწავლონ. SERMO-ს თანამშრომლებმა შეაგროვეს უამრავი განცხადება და შეტყობინება, რომელთა საფუძველზე ექიმებმა შეიმუშავეს სოციალურ მედიაში დისკუსიის თემები. საავადმყოფოები და ავთიაქები ასევე იღებენ სარგებელს სოციალური მედიის გამოყენებისგან. მათ შეუძლიათ, სწრაფად გააცნონ კლიენტებს ახალი წამლები და სხვა სამკურნალო საშუალებები (Ventola, 2014). თანამედროვე საავადმყოფოებს უკვე აქვთ ისეთი ვებ-საიტები და აპლიკაციები, რომელთა მეშვეობით პაციენტებს შეუძლიათ, სამედიცინო პროცედურებში ონლაინ ჩაეწერონ ან ექიმებისგან უფასო ონლაინ კონსულტაციები მიიღონ (Koumpouros et al., 2015). როგორც ერთ-ერთი

მკვლევარი ამბობს: „მომავლის ორგანიზაციებს, ინდივიდებისათვის თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე ცოდნის გაზიარების, გაფილტვრისა და დახარისხების საშუალების მიცემით, შეუძლიათ, ცოდნის გადატვირთვისა და მსოფლიო გარემოს ტურბულენტობის პრობლემები ეფექტიანად გადაჭრან“ (Bray et al., 2008). ამიტომაც მკვლევრები ეძებენ გზებს, განსაზღვრონ, თუ როგორ მოქმედებს სოციალურ მედიაში განთავსებული რეკლამა ჯანდაცვის მომხმარებელთა სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებზე. ცოდნის გაცვლისათვის სოციალური მედიის გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას როგორც ჯანდაცვის ორგანიზაციებისათვის, ისე ცალკეული პაციენტებისათვის. პაციენტების გადაწყვეტილებების მიღებაზე ძლიერი ზეგავლენის გამო, სოციალური მედია და ცოდნის გადაცემა მრავალი მკვლევარის დაინტერესებას იწვევს. ჯანდაცვის სფეროში ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია, მიიღოს მოგება სოციალური მედიის მეშვეობით ცოდნის გაცვლის შედეგად, რათა არსებული პრობლემები გამოავლინოს და მათი გადაჭრის გზები დაადგინოს. ჯანდაცვის სფეროში ერთიანი ინტერესებისა და ამოცანების მქონე პაციენტებს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით საგულისხმოა (Mladenović et al., 2018).

ჯანდაცვის სფეროში ცოდნის მართვა, განსაკუთრებით, ექიმებისა და პაციენტებისათვის, გადამწყვეტ როლს თამაშობს მათი გათვითცნობიერების დონის ამაღლებაში. ახალი ტექნოლოგიების ათვისება, სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარება და ჯანდაცვის გამართული პოლიტიკის წარმართვა ყოველივე ამის საწინდარია (Bordoloi and Islam, 2012).

ჯანდაცვის მუშაკები, პაციენტებთან ურთიერთობებისა და კვლევების ჩასატარებლად, იყენებენ Twitter-ს, ინტერაქტიულ სოციალურ ქსელს. Twitter -ით ხშირად სარგებლობენ სამედიცინო მიზნებისათვის, ვინაიდან იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაინტერესებული პირების ჯანდაცვაზე. Twitter-ის დიდი პოპულარობა სამედიცინო სფეროში აიხსნება იმით, რომ იგი საშუალებას აძლევს ექიმებს, მიმართონ ფართო აუდიტორიას. თავისი მახასიათებლებით Twitter განსხვავდება სხვა მედია საშუალებებისაგან. შეიძლება ჩამოვთვალოთ ზოგიერთი აქტივობები, რომლებიც ხელმისაწვდომია Twitter-ში. ესენია: საავადმყოფოების შესახებ ინფორმირება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კრიტიკული პრობლემების

სამედიცინო კვლევის შედეგების გაცნობა, დაინტერესებული პაციენტებისათვის სპეციალურ დისკუსიებში მონაწილეობა (Pershad et al., 2018).

Twitter-ის ჰეშთეგების თვალყურის დევნება და ვებსაიტის, <https://www.hashtags.org/> -ის გამოყენება, პაციენტებს ეხმარება, მათთვის საინტერესო მოვლენების კურსში იყვნენ, რომლებიც უკავშირდება მედიცინას და ზოგად ჯანდაცვას. ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს შესანიშნავ გზას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უახლესი და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ჰეშთეგის ფენომენით დასაშვებია პაციენტების ერთ ლოკაციაში გაერთიანება, სადაც მათ შეუძლიათ, მათთვის საინტერესო და აქტუალური თემები განიხილონ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს შეიძლება განსხვავებული მიზნები ჰქონდეს, როგორცაა, მაგალითად, ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ინფორმაციის მიღება, ჯანდაცვის მუშაკებს შორის ინფორმაციის გაცვლა, სამედიცინო მომსახურების მომწოდებლების მიერ სხვადასხვა დაავადებების თაობაზე კონსულტაციების გაცემა, კონკრეტული თემების ირგვლივ ლექციებისა და სემინარების ორგანიზება, ახალი დაავადებების შესახებ საუბრების წარმართვა და სხვა. ჯანდაცვის სფეროში ჰეშთეგებთან მიმართებით ყველაზე უფრო საუკეთესო მაინც არის ცოდნის ეფექტიანი გავრცელება (Xu et al., 2015; George et al., 2018).

პაციენტებსა და ექიმებს შორის თანამშრომლობაში კარგი შედეგი მიიღწევა მაშინ, როცა სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები მნიშვნელოვანი და ზუსტია. ჯანდაცვის სფეროში ცოდნის მართვაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას გადამწყვეტი როლი ენიჭება. ამისათვის ექიმები, ჯანდაცვის პოლიტიკის სპეციალისტები, სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები, პაციენტები და საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამშრომლები ხელს უწყობენ ჯანდაცვის ინდუსტრიაში სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის განმტკიცებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალურ მედიაში პაციენტზე ორიენტირებული ელექტრონული ჯანდაცვა (Patient-Centered e-Health - PCEH) აფასებს პაციენტების სურვილს, თავიანთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები იპოვონ. პაციენტების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება - ესაა პროცესი, რომლითაც PCEH-ის სისტემები პაციენტებს აწვდიან სოციალური

მედიის სხვადასხვა პლატფორმებისადმი წვდომას, რათა მათ შეძლონ თავიანთი ჯანმრთელობის სხვადასხვა ელემენტის მართვა (Kordzadeh, 2016).

სოციალური მედია ჯანდაცვის სფეროში ცოდნის მართვის ფასეული ინსტრუმენტი გახდა (Khan et al., 2021). ცხადია, რომ ჯანდაცვაში ცოდნის მართვის ეფექტიანმა მეთოდებმა შეიძლება გამოიწვიოს მწარმოებლურობის ზრდა, რესურსების კოორდინაციის გაუმჯობესება და ეფექტიანობის ამაღლება (Karamitri et al., 2017). მკურნალობის ახალი ტექნოლოგიები და ხერხები, აგრეთვე საზოგადოების მოლოდინის ზრდა ხარისხიანი მკურნალობისადმი წვდომის თვალსაზრისით, ქმნის ეფექტიანი სტრატეგიებისადმი მოთხოვნას, რომლებიც მკურნალობის ხარჯებს შეამცირებს (Çağlıyor et al., 2022). ჯანდაცვის სექტორი მუდმივად ნერგავს ახალ ციფრულ ტექნოლოგიებს, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის შესაძლებლობებისა და უპირატესობების ფართო სპექტრს ქმნიან. ასეთ რევოლუციურ ინსტრუმენტებს შეუძლია გარდატეხა მოახდინოს პაციენტების მკურნალობაში, განათლებაში, კვლევებში და სამედიცინო მომსახურების მიწოდებაში (Kulkov, 2021). საზოგადოებრივი ჯანდაცვის დღის წესრიგშია სოციალური მედია, როგორც მარკეტინგული სამყაროს მნიშვნელოვანი მოთამაშე, რომელიც სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით პოტენციურ კლიენტებს აღაფრთოვანებს და იზიდავს (Carlsson-Szlezak et al., 2020). ამასთან, მედიცინის მუშაკები სოციალურ მედიას იყენებენ თავიანთ კოლეგებთან პროფესიული თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლისათვის (Rolls et al., 2016). შესაბამისად, არ არსებობს არავითარი ეჭვი იმის თაობაზე, რომ სოციალური მედია ნამდვილად წარმოადგენს ჯანდაცვის ინდუსტრიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც გამოდის, როგორც სასარგებლო ინსტრუმენტი პაციენტების შერჩევის, სამედიცინო ორგანიზაციების მარკეტინგული მართვისა და რეპუტაციის ამაღლების კუთხით. ამასთან, მედიცინის მუშაკები აცნობიერებენ სოციალური მედიის უზარმაზარ პოტენციალს, რაც, უწინარეს ყოვლისა, დიდი მოცულობის აუდიტორიის მოცვაში, პაციენტებთან ურთიერთქმედებებსა და თავიანთი ცოდნის დემონსტრირებაში გამოიხატება (Farsi, 2021). ციფრული კომუნიკაციების ერაში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები აღიარებენ, რომ სოციალური მედია, თავისი მრავალფეროვანი პლატფორმებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტიმულირების

საუკეთესო ინსტრუმენტი (Rolls et al., 2016). ამიტომაც სოციალური მედია ჯანდაცვის სფეროში ახალი ინფორმაციის გავრცელების საქმეში ეფექტიანი საშუალებაა, ვინაიდან მას შეუძლია, საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი აუდიტორია მოიცვას (Swan et al., 2019).

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები სოციალურ მედიას იყენებენ თავიანთი ორგანიზაციების პრომოციის, არსებულ და პოტენციურ კლიენტებთან მტკიცე ურთიერთობების დამყარებისათვის, აგრეთვე საკუთარი ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების დონის ამაღლებისათვის (Mondal, 2022). რაც შეეხება პაციენტებს, ისინი სოციალურ მედიიდან ლებულობენ ინფორმაციებს თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (Kamaudin et al., 2022; Freire et al., 2023). კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანთა რაოდენობის 75%-ზე მეტი ჯანმრთელობასთან დაკავსირებულ ინფორმაციებს ეძებს ინტერნეტში, ხოლო პაციენტების სულ უფრო მეტი რაოდენობა სოციალურ მედიას იყენებს, როგორც სასარგებლო ინსტრუმენტს დაავადებების სხვადასხვა პროცესების შესასწავლად და მკურნალობისათვის სედარებით კვალიფიციური დაწესებულებებისა და ექიმების მოსაძებნად (Koumpouros et al., 2015). სოციალური მედიის პლატფორმები პაციენტებს სთავაზობს მრავალმხრივ ცოდნას, სხვა პაციენტების გამოხმაურებებს და ექიმების მხარდაჭერას სხვადასხვა გადაწყვეტილებების მისაღებად. სოციალური მედიის დახმარებით პაციენტებს შეუძლიათ, სამედიცინო მომსახურებისადმი უფრო მეტი წვდომა და თავიანთი მკურნალობის შესახებ შედარებით სწორი გადაწყვეტილება მიიღონ (De Martino et al., 2017).

დღეისათვის ჯანდაცვის ორგანიზაციები უამრავ პრობლემას ეჯახებიან. უწინარეს ყოვლისა, მომხმარებლები, სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში, სულ უფრო მეტად აქტიურდებიან (Hung et al., 2023). ისინი ფართოდ იყენებენ თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, რომლებიც ეხმარება მათ, თავიანთი კეთილდღეობის დაცვაში უშუალოდ ჩაერთონ. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს მარკეტინგული მიდგომები, რომელიც სამედიცინო მომსახურების ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს (Anderson et al., 2018). ამიტომაც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები სულ უფრო ხშირად იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც

ორიენტირებულია პაციენტებზე (Pilon et al., 2023). გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ ჯანდაცვის სისტემები სულ უფრო რთული გახდა, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები ხვდებიან მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრობლემებს. საბედნიეროდ, ახალი ტექნოლოგიების გამოჩენა ამარტივებს ინფორმაციებისადმი სწრაფად წვდომას, თუმცა, არსებობს ისეთი მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ჯანდაცვაში სემოქმედებითი გარემოს ჩამოყალიბებას და ინოვაციების განვითარებას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინოვაციების საიმედოობისა და ღირებულების შეფასება ჯერ კიდევ რთულია (Chaves et al., 2021).

სოციალური მედია სამედიცინო ორგანიზაციების მარკეტინგული და კომუნიკაციური სტრატეგიების განუყოფელი ნაწილია. ონლაინ ურთიერთობების შედეგად პაციენტები, საავადმყოფოები და ექიმები თავიანთ პოზიტიურ დამოკიდებულებებს აყალიბებენ. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ დღევანდელი ექიმებს, მჭიდრო სამუშაო გრაფიკის გამო, სოციალურ მედიაში შესაბამისი პოსტების განთავსებისათვის ნაკლები დრო აქვთ. აღნიშნულის გათვალისწინებით მარკეტოლოგები ცდილობენ სამედიცინო პერსონალის დახმარებისათვის დამაჯერებელი კონტენტის მქონე პოსტები განათავსონ. ამასთან, შეტყობინების წყარო გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამიტომ მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატეგიების შემუშავებისას მნიშვნელოვანია სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმების ინდივიდუალურად განხილვა. ყველგან ერთი და იმავე კონტენტის გამოქვეყნების მაგივრად, საჭიროა თითოეული პლატფორმის უნიკალურობის გათვალისწინება. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ თანმხლები რისკები, რომლებიც დაკავშირებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან და ინფორმაციის სიზუსტესთან (Alshakhs and Alanzi, 2018; Çağlıyor et al., 2022). სამედიცინო მუშაკებს შეუძლიათ, დაეხმარონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციებს იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის შესახებ სოციალურ მედიაში გავრცელებულ დეზინფორმაციებს (Bautista et al., 2021). ზოგიერთმა მკვლევარმა შეიმუშავა სხვადასხვა სტრატეგია დეზინფორმაციის გავრცელების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ეხება ჯანმრთელობის დაცვის,

ტექნოლოგიების, განათლებისა და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს (Nygren et al., 2019; Roozenbeek et al., 2022).

სოციალურმა მედიამ ძირეულად გარდაქმნა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციებსა და ექიმებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. დამარწმუნებელი შეტყობინების წყალობით ისინი გავლენას ახდენენ სოციალურ მედიას ჯანდაცვისა და დაავადებების შესახებ ცოდნის გასავრცელებლად. სოციალური მედია, დამარწმუნებელი შეტყობინებების წყალობით, გავლენას ახდენს პაციენტების ქცევაზე, თუ როგორ იცხოვრონ. იგი ასევე მოქმედებს პაციენტების დამოკიდებულებებზე, უპირატესობებზე და ჩვევებზე. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედია გავლენას ახდენს ინდივიდების ქცევაზე ცხოვრების წესთან დაკავშირებით (Webb et al., 2010). სოციალური მედიის მეშვეობით ფიზიკური აქტივობის პროპაგანდა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ასეთ მიდგომებს ამუშავებენ ონლაინ საზოგადოებები, რომლებიც სთავაზობენ პაციენტებს ინდივიდუალურ პროდუქტებს, სხვა ადამიანების მხარდაჭერას და ხელს უწყობენ მათი კეთილდღეობის ამაღლებას. ასეთ საზოგადოებებს აქვთ უნარი, ადამიანების როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი კეთილდღეობა გააუმჯობესონ (Petkovic et al., 2021).

ვებ-საიტები ეხმარება პაციენტებს, თავიანთი დაავადებების თანმიმდევრული მართვის შესწავლით, მკურნალობის ეტაპებში აქტიური მონაწილეობა მიღონ. ცოდნის გაცვლისათვის სოციალური მედიის გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მარტო ინდივიდუალური პაციენტების, არამედ ჯანდაცვის ორგანიზაციების დონეზეც. მრავალი მკვლევარი ყურადღებას აქცევს სოციალურ მედიაში სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ცოდნის გაცვლას, რაც პაციენტებისა და ჯანდაცვის ორგანიზაციებისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებაა. ცოდნის გაცვლა ამტკიცებს პაციენტებსა და სამედიცინო ორგანიზაციებს შორის ნდობას და ურთიერთობას (Aghdam et al., 2021). ჯანდაცვის სფეროში ცოდნის მენეჯმენტის უზრუნველყოფას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ექიმებისა და პაციენტების გათვითცნობიერების ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიური უნარების შეძენაში, სამედიცინო ინფრასტრუქტურის გაფართოებასა და ჯანდაცვის ეფექტიანი პოლიტიკის

განხორციელებაში (Ghalavand et al., 2020). ასეთი მიდგომა მეტად საგულისხმო აღმოჩნდა COVID-19-ის პანდემიის პირობებში (Renu, 2021; Prasetya et al., 2023).

COVID-19-ის პანდემიამ განსაკუთრებული როლი მიანიჭა ჯანდაცვაში სოციალური მედიის გამოყენებას. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლები, დიდი ალბათობით, ენდობიან პოსტებს, რომლებსაც აქვეყნებენ ექიმები და სამედიცინო სფეროს სხვა წარმომადგენლები. შეიძლება ითქვას, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს მომხმარებლები ყველაზე მეტად ენდობოდნენ ინფორმაციებს, რომლებსაც სოციალურ მედიასი თავიანთი დარგის ექსპერტები განათავსებდნენ და სხვა წყაროებისადმი კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი (Tayal et al., 2021). ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ აუცილებელია იმ მიზეზების კვლევა, რომლითაც ექიმები იყენებენ სოციალურ მედიას პროფესიული სტანდარტების წინააღმდეგ. ამ ექიმებიდან ბევრი, რომლებიც ავრცელებდნენ სენსაციურ კონტენტებს, როგორც წესი, ფოკუსირებული იყო COVID-19-ის პანდემიის კონკრეტულ ასპექტებზე, როგორცაა, მაგალითად, აუცილებელი საშუალებების უკმარისობა, მარეგულირებელი ორგანოების კრიტიკა და მოსახლეობისათვის არასწორი რჩევების მიცემა (Law et al., 2021). აღნიშნულიდან გამომდინარე, მკვლევრები სოციალურ მედიას, როგორც ჯანდაცვაში ფართო აუდიტორიის გათვითცნობიერებისა და მოცვის პლატფორმად მიიჩნევენ (Ghahramani et al., 2022). მაგალითად, COVID-19-ის პანდემიის პირობებში კანადის მთავრობამ გამოიყენა Facebook, როგორც პერინატალური ჯანმრთელობის პროპაგანდის საშუალება (Durowaye et al., 2022).

COVID-19-ის პანდემია, რომლის შედეგადაც დაიღუპა 6.8 მლნ ადამიანზე მეტი, ყველაზე უფრო მძიმე, ხანგრძლივი და რთული კრიზისული მოვლენა აღმოჩნდა თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში (World Health Organization, 2023). ამ მოვლენამ გამოიწვია ადამიანთა ქცევის სხვადასხვა ასპექტის მნიშვნელოვანი ცვლილებები. COVID-19-ის კრიზისის მთავარი თავისებურება მდგომარეობს წინააღმდეგობრივი, არასანდო და არასისტემური ინფორმაციის მასობრივ გავრცელებაში (Soroya et al., 2021). მრავალი წყაროდან მიღებული არაზუსტი ინფორმაციის უკონტროლო გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი გრძელვადიანი შედეგები და შეაფერხოს

ხელისუფლების უნარი, გააკონტროლოს კრიზისული სიტუაციები (Apuke and Omar, 2021).

Brug-მა და სხვებმა (2009) დაადგინეს, რომ რაც უფრო მძიმეა კრიზისული მოვლენა, მით მეტი ადამიანი მიდრეკილია, აღქმული რისკები შეამსუბუქოს. ამისათვის ისინი იყენებენ სხვადასხვა წყაროებს (მაგალითად, სოციალურ მედიას, საძიებო სისტემებს და ა.შ.), რათა მეტი ინფორმაცია მოიპოვონ. ისტორიულად, ინფორმაციის წყაროებმა (მაგალითად, ინტერნეტმა, ტელევიზიამ, გაზეთებმა) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისეთი კრიზისების თავდაპირველ გაგებაში, როგორცაა COVID-19-ის პანდემია (Farooq et al., 2021), ზიკა ვირუსი (Chan et al., 2018) და გრიპის ვირუსი H1N1 (Dudo et al., 2007). ამიტომ კრიზისის დროს ამ წყაროების გავლენის შესწავლა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ანალოგიურად, Choi-მ და სხვებმა (2017) მოგვაწოდეს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ კრიზისები და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენები, ინფორმაციის გავრცელებისა და მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად, ადამიანების ქცევაზე და მათ კომუნიკაციურ უნარებზე გავლენას ახდენს. მრავალმა მეცნიერმა ჩაატარა ემპირიული კვლევა, რომელშიც შესწავლილია კრიზისის დროს ონლაინინფორმაციების ნაკადები, როგორცაა ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების მეთოდები, ინფორმაციის წყაროების აღქმა, ადამიანების ფსიქოლოგიური და ქცევითი რეაქციები და სხვა (Chawla et al., 2021; Gevert et al., 2021; Lu et al., 2022). მეცნიერების აზრით, ასეთი კვლევები კრიზისულ მოვლენებთან და საგანგებო სიტუაციებთან ეფექტიანი ბრძოლისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია (Cuan-Baltazar et al., 2020; Donthu and Gustafsson, 2020; Nilashi et al., 2021; Panagiotopoulos et al., 2016; Zheng et al., 2020).

მოდელი „სტიმული - ორგანიზმი - რეაქცია“ (S-O-R)

S-O-R არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი და ყოვლისმომცველი მოდელი, რომელიც გამოიყენება, როგორც თეორიული საფუძველი მომხმარებელთა ქცევის ასახსნელად. უამრავი კვლევა ასახავს მის მნიშვნელოვან როლს ახალი და მოულოდნელი გარეთა გამღიზიანებლების მიმართ ადამიანების რეაქციის შესწავლაში

(Sherman et al., 1997). S-O-R ფართოდ გამოიყენება გარემო ფაქტორების გავლენის კვლევაში (Laato et al., 2020a; Xu et al., 2014) და ადამიანების ქცევითი განზრახვის შესწავლაში (Islam et al., 2021). თავისი არსით, S-O-R გულისხმობს იმას, რომ ადამიანების ქცევა მიმდინარეობს უფრო ფართო გარემოში, რაც ითვალისწინებს უამრავი სტიმულის არსებობას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი სიმძიმით, სიხშირით და ზემოქმედებით. ეგზოგენური სტიმულები ადამიანის ორგანიზმზე (ინდივიდებზე, ჯგუფებზე და ა.შ.) სხვადასხვა დონით გავლენას ახდენენ, რაც, თავის მხრივ, იწვევს ან ავითარებს მის ქმედებას (მაგალითად, ქცევითს ან ფსიქოლოგიურს), როგორც ამ სტიმულებზე მნიშვნელოვან რეაქციას (Russell and Mehrabian, 1974).

მოდელი მიესადაგება ჩვენი კვლევის მიზანს, ვინაიდან იგი როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ეგზოგენური იმპულსები გავლენას ახდენენ ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და შემდგომში იწვევენ მათ გარკვეულ ქცევით განზრახვებს და/ან აქტიურ ქცევას (Islam et al., 2021; Kumar et al., 2021). ამიტომ S-O-R მოდელზე დაყრდნობით, ჩვენ ჩავრთეთ ადამიანებზე ინფორმაციის ონლაინ წყაროების ზემოქმედება, როგორც ეგზოგენური ფაქტორი. იმისათვის, რათა რაოდენობრივად შეგვეფასებინა COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის კოგნიტური დატვირთვა და გადამეტებული მოცულობა, ჩვენ გამოვიყენეთ ცვლადი საინფორმაციო გადატვირთვა (ორგანიზმი). დაბოლოს, ჩვენ ჩავრთეთ აგრეთვე ერთი ფსიქოლოგიური რეაქცია (კიბერქონდრია) და სამი ქცევითი რეაქცია (COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, გადაგზავნა და წარდგენა). გარდა ამისა, ჩვენ ვეყრდნობით კოგნიტური დატვირთვის თეორიას და შიშისკენ მოწოდების თეორიას, რათა დაკვირვებად ცვლადებს შორის დამოკიდებულების ბუნება შევისწავლოთ.

კოგნიტური დატვირთვის თეორია (CLT)

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის ონლაინ წყაროების გავლენის შესწავლა, ამისათვის კოგნიტური დატვირთვის თეორია (CLT) ყველაზე უფრო მისადაგი აღმოჩნდა. თავისი არსით, CLT ახდენს პოსტულაციას

იმის თაობაზე, რომ ადამიანების კოგნიტური უნარები მოკლევადიან პერსპექტივაში შეზღუდულია და ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება სხვადასხვა რეაქცია გამოიწვიოს (Kirschner, 2002). მაგალითად, დასაშვებია, რომ ადამიანმა ახალი ინფორმაციის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები აღიქვას, მაშინ, როცა არასტრუქტურირებული ინფორმაციის ძირითადი ნაწილი ეჯახება ინდივიდის კოგნიტურ შესაძლებლობებს და გადაწყვეტილებების მიღებას უფრო მეტად არასაიმედოს და პრობლემურს ხდის. ონლაინ გარემოს კონტექსტში, სადაც ინფორმაცია ბევრია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანის მიერ ინფორმაციის ათვისების უნარის გათვალისწინება (Liu et al., 2021). თავდაპირველად, CLT გამოიყენებოდა მხოლოდ პედაგოგიურ მეცნიერებაში და სწავლის მეთოდებში (Chandler and Sweller, 1991). შემდგომში, ვირტუალური გარემოს გაჩენასთან ერთად, CLT სულ უფრო ხშირად გამოიყენება ადამიანების აღქმული და ფაქტიური ქცევების შესასწავლად სხვადასხვა სფეროში, როგორცაა, მაგალითად, მარკეტინგული კომუნიკაციები, ინფორმაციის მოძიება, საზოგადოებასთან კრიზისული კავშირები, სოციალური მედია, მომხმარებელთა ქცევა და სხვა. ამ სფეროში არსებული ლიტერატურა ითვალისწინებს იმას, რომ ცვლადი „საინფორმაციო გადატვირთვა“ წარმატებულად ასახავს ადამიანების გადაწყვეტილებებს და კოგნიტურ უნარებს, ამიტომაც იგი ჩავრთეთ ჩვენი კვლევის კონცეპტუალურ მოდელში, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი.

COVID-19-ის კრიზისთან დაკავშირებულ კონტექსტში მიგვაჩნია, რომ სტიმული შეიძლება იყოს უზარმაზარი რაოდენობის ონლაინ ინფორმაციის წყაროების მუდმივი ზემოქმედება, რომლიდანაც ადამიანები იღებენ ახალ ინფორმაციას (Laato et al., 2020b). COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის ხარისხი და რაოდენობა, ცხადია, კრიზისის დროს გავლენას ახდენს ადამიანების ქცევაზე, ინფორმაციები მოიძინ და გაცვალონ (Mladenović et al., 2021). შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ ადამიანების კოგნიტური უნარები შეზღუდულია, მათი ინდივიდუალური ან ჯგუფური რეაქციები პოტენციურად შეიძლება ირაციონალურად განხორციელდეს (Kirschner, 2002). მიუხედავად იმისა, რომ გარემომცველი გარემო ადამიანებს რეაქციებს კარნახობს, ისინი შეიძლება ორნაირად მოიქცნენ: შემომავალი სტიმულები (მაგალითად, საინფორმაციო გადატვირთვა) გააძლიერონ ან მათ შეეწინააღმდეგონ (Laato et al., 2020b).

გარდა ამისა, CLT ითვალისწინებს, რომ კოგნიტური გადატვირთვისას (მაგალითად, საინფორმაციო, საკომუნიკაციო, ფსიქოლოგიური და სხვა შემთხვევაში) ადამიანები მიდრეკილნი არიან, თავიანთ აღქმულ უსაფრთხო პოზიციებზე გადავიდნენ (მაგალითად, მეტი ინფორმაციები შეაგროვონ ან გააზიარონ) (Dhir et al., 2019).

ჩვენი კვლევის მოდელში ფოკუსირებას ვახდენთ საინფორმაციო გადატვირთვაზე, რათა S-O-R სისტემაში სტიმულები ორგანიზმთან დავაკავშიროთ.

შიშისკენ მოწოდების თეორია (TFA)

შიშისკენ მოწოდების თეორია ახდენს პოსტულაციას იმის შესახებ, რომ შიშის არსებობისას ადამიანები ცდილობენ, საკუთარ თავზე შიშის მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება ან არახელსაყრელი გავლენა შეამსუბუქონ (Boss et al., 2015; Shen and Dillard, 2014). რისკთან ან კრიზისულ მოვლენებთან მიმართებით, შიში იწვევს გარკვეულ რეაქციულ ქცევას, რათა უარყოფითი შედეგები შემცირდეს. მაგალითად, COVID-19-ის კონტექსტში ადამიანები აგროვებდნენ ინფორმაციებს და ცოდნას იმ თემების შესახებ, რომლებიც მათში გაძლიერებულ შიშს იწვევდა. როგორც Witte და Allen (2000) აღნიშნავენ, TFA არა მარტო საფრთხის ან რისკის ფორმალიზებას ახდენს, არამედ არახელსაყრელი შედეგების აღმოფხვრისათვის შესაბამის ქმედებებზე მიუთითებს. მაგალითად, იმისათვის, რომ შემცირებულიყო COVID-19-ის არახელსაყრელი შედეგების ალბათობა, ადამიანები ეცნობოდნენ დაავადების პირველად სიმპტომებს, ტესტირების პროცედურებს, სახლში დარჩენის მოწოდებებს, ინფიცირებულ ადამიანებთან ურთიერთობების წესებს და ა.შ. TFA-ს შესახებ ლიტერატურა ითვალისწინებს ორ ფუნდამენტურ მიდგომას: საფრთხეს (მაგალითად, COVID-19-ით დაინფიცირებას) და მოქმედების კომპონენტებს (Tanner et al., 1991). ჩვენი კვლევა ორიენტირებულია TFA-ს მოქმედების კომპონენტებზე, რომლებიც ახდენს სხვადასხვა ქმედებებისა და პროცედურების ფორმალიზებას. ასეთი ქმედებები და პროცედურები (მაგალითად, ინფორმაციის მოგროვება, მოსაზრებების გაზიარება, ცოდნის დაგროვება და სხვა) შეიძლება შეასრულონ ადამიანებმა ისეთი ნეგატიური

გრძნობების შესაჩერებლად, როგორცაა შიში და შფოთვა (Brennan and Binney, 2010; Tanner et al., 1991).

ამრიგად, TFA-ს მეშვეობით შესაძლებელია შევისწავლოთ ურთიერთკავშირი საინფორმაციო გადატვირთვასა და კიბერქონდრიას შორის, აგრეთვე კიბერქონდრიასა და საინფორმაციო ნაკადებს შორის. ასეთ კვლევას TFA კარგად მიესადაგება ორი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი: კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაცია, ჩვეულებრივ, იწვევს გარკვეული დონის შიშს და უარყოფით გრძნობებს, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს აფერხებს. ამიტომ ჩვენ ვიყენებთ TFA-ს, რათა გამოვსახოთ არახელსაყრელი შეტყობინებების გავლენა ინფორმაციის შემდგომ მოხმარებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, კიბერქონდრიას იწვევს. მეორე: მრავალი კვლევა ადასტურებს იმას, რომ შიშისადმი მოწოდება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ცვლადი ე.წ. იმპულსური სამომხმარებლო ქცევის დროს (Addo et al., 2020; Ahmed et al., 2020; Eger et al., 2021), ამიტომ TFA დაკვირვებადი საპასუხო ქმედებების (ინფორმაციის მოძიება, გაზიარება და გადაგზავნა) ფორმალიზაციას კარგად მიესადაგება. წინათ TFA, უმეტესწილად, მარკეტინგისა და რეკლამის სფეროში გამოიყენებოდა, სადაც ძირითადი ყურადღება ექცეოდა პროდუქტებს, რომლებიც ადამიანებს საფრთხეში ჩაყენებისგან იცავს. ასეთ პროდუქტებს და მის თვისებებს მიეკუთვნება, მაგალითად, სამედიცინო დაზღვევა, პროდუქტის უვნებლობის ფუნქცია და სხვა (Addo et al., 2020).

TFA-ზე დაყრდნობით, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ საინფორმაციო გადატვირთვა იწვევს კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაციის აქტიურ მოძიებას, გაცვლას და გადაგზავნას. თუმცა, ადამიანებისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებამ, რომლის გადამუშავება მათთვის პრობლემაა (მაგალითად, ტერმინოლოგიის ან სირთულის გამო), შეიძლება კიბერქონდრია გამოიწვიოს, რომლის დროსაც კრიზისული მოვლენის შესახებ უკვე შეძენილ ინფორმაციაზე საპასუხოდ ადამიანები მიდრეკილნი არიან, შემდგომი ძიება გააგრძელონ, რაც თავის მხრივ, შფოთვის პოტენციურ ზრდას იწვევს. ჩვენი კვლევის მოდელში ფოკუსირებული ვართ კიბერქონდრიაზე და საინფორმაციო ნაკადებზე, რათა S-O-R სტრუქტურის რეაგირების ასპექტები ერთმანეთთან დავაკავშიროთ

თავი 2. კვლევის ჰიპოთეზების განვითარება

2.1. სოციალურ მედიაში ჩართულობა

სოციალური მედიის პლატფორმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე კომპანიების მყიდველებთან ურთიერთობის საქმეში (Dodokh, and Al-Maaitah, 2019). ამიტომ მეცნიერები დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობის შესწავლას (Colicev et al., 2018; Harmeling et al., 2017; Pellegrino et al., 2023). ამასთან მყიდველებიც მომხმარებელი არიან, რომ კომპანიები აქტიურად წარმოჩინდნენ სოციალურ მედია პლატფორმებზე, რადგან ეს აადვილებს მათთან ურთიერთობას (Dolan et al., 2016; Viswanathan et al., 2018; Liadeli et al., 2023). აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მობილური ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო მომხმარებელთა საქმიანობის გაციფრულებას, რამაც სხვადასხვა სფეროში არსებული საწარმოების ჩართულობა სოციალურ მედიაში გაამარტივა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ თავიანთი მომსახურების ხარისხის გაუნჯობების მიზნით სოციალური მედიის ფართოდ გამოყენება (Hawkins et al., 2016; Huppertz and Otto, 2018). აღნიშნულის გათვალისწინებით, უკანასკნელ ხანებში ჩატარებული კვლევები ფოკუსირებულია სოციალურ მედიაზე, რომლებიც დაკავშირებულია მყიდველობით შესყიდვაზე და სოციალურ მედიაში ჩართულობის პრობლემებზე (Wang and Kim, 2017; Rahman, 2017; Huppertz and Otto, 2018).

თანამედროვე ეტაპზე მყიდველებთან ურთიერთქმედების კონცეფცია ითვლება კომპანიის უმნიშვნელოვანესი არამატერიალურ ფასეულად (Hollebeek et al., 2014; Pansari and Kumar, 2017). ფაქტობრივად, მყიდველები, რომლებიც ჩართულნი არიან სოციალურ მედიაში, აჩვენებენ არა მარტო, თავიანთ ლოიალურობას კომპანიებისადმი, არამედ გამოდიან როგორც ეგრედ წოდებული ბრენდის ელჩები (Brodie et al., 2013). კვლევები ადასტურებს, რომ სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობა განაპირობებს პროდუქტის ახალი ატრიბუტებისა და კომპანიის ფასეულობების ჩამოყალიბებას (Toor et al., 2017; Hollebeek et al., 2019; Todua and Todua, (2024).

ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ ასოცირებულ სოციალურ მედიაში, მომხმარებელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, საავადმყოფოების მიერ დაფინანსებული ღონიძირებები, რომლებიც ხელს უწყობენ მომხმარებლებთან ურთიერთობას, ინტერნეტში სამედიცინო ინფორმაციის გავრცელებას, პროფილაქტიკის მიზნით ვებინარებისა და ონლაინ ჩატების ჩატარებას. ყოველი ამის შედეგად იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მყიდველების გამოცდილება გაუნჯობესდება და ისინი ჯანდაცვის ორგანიზაციებთან მიმართებით კეთილგანწყობას ჩარმოაჩენენ (Kumar and Pansari, 2016).

სოციალური მედია მყიდველებთან ურთიერთობას სხვადასხვანაირად ცვლის. უწინარეს ყოვლისა, მომსახურების გაუნჯობესების მიზნით კომპანიებს სოციალურ მედია პლატფორმებში მომხმარებელთა გააქტიურების გზით შეუძლიათ შეცვალონ მათი ჩართულობა (Carlson-Szlezak et al., 2020). სოციალურ მედიას შეუძლია მოგვცეს კარგი შედეგები მყიდველთა აქტიური ჩართულობით, კერძოდ, სოციალური მედიის პლატფორმები აადვილებენ მრავალფეროვან აუდიტორიასთან ურთიერთქმედებას (Schivinski et al., 2016). მესამე მომენტია ის რომ, სოციალური მედია ჯანდაცვის ორგანიზაციებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობას ამარტივებს მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად (Wang and Stefanone, 2013). ზემოთ ნახსენები კვლევები გვეხმარება იმაში, რომ ჩამოვაცალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზა (H1):

H1: ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია აქტივობები დადებით გავლენას ახდენს სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობაზე.

2.2. სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების გავლენა eWOM-ზე

ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია ელექტრონული eWOM -ის წარმოშობა. დღეისათვის მომხმარებელთა სულ უფრო მეტ რაოდენობა აგზავნის და იღებს შეტყობინებებს ინტერნეტის მეშვეობით. eWOM არის დადებითი ან უარყოფითი განცხადება, რომელიც პროდუქტის ან კომპანიის შესახებ კლიენტს ონლაინ გაუკეთებია

წარსულში, აკეთებს დღეს ან გააკეთებს მომავალში და ხელმისაწვდომია ინტერნეტის ნებისმიერი მომხმარებლისთვის (Gupta and Harris, 2010). ყიდვის დაწყებამდე მომხმარებლები აგროვებენ ინფორმაციას პროდუქტების შესახებ, რისთვისაც ხშირად ეძებენ პროდუქტების შესახებ მიმოხილვებს ინტერნეტში (Jalilvand and Samiei, 2012). Baker და სხვებმა (2016) დაადგინეს, რომ დადებითი WOM ამაღლებს მყიდველობით განზრახვას, მაგრამ თუ ინფორმაცია იქნება უარყოფითი, ამან შეიძლება მომხმარებელს ინტერესიც კი დაუკარგოს (Baker et al., 2016). არსებობს eWOM -ის ოთხი განზომილება, როგორებიცაა: ინტენსივობა, დადებითი კომენტარი, უარყოფითი კომენტარი და კონტენტი (Goyette et al., 2010). ინტენსივობა - ესაა ამა თუ იმ საკითხზე სოციალურ ქსელებში მომხმარებლების მიერ დაწერილი მოსაზრებების რაოდენობა. დადებითი ან უარყოფითი კომენტარები წარმოადგენს მოსაზრებების ნაწილს, რომლებსაც მომხმარებლები, შესაბამისად, გამოთქვამენ რომელიმე საქონლის ან მომსახურების შესახებ. დადებითი ან უარყოფითი მოსაზრებები, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება პროდუქტის შესახებ მომხმარებლების კმაყოფილების ან უკმაყოფილობის შედეგად. კონტენტი კი გულისხმობს სოციალური ქსელებში უშუალოდ საქონლის ან მომსახურების შესახებ განთავსებულ ინფორმაციას (Goyette et al., 2010). მკვლევარები თვლიან, რომ eWOM დიდ გავლენას ახდენს მყიდველობით განზრახვაზე, ვინაიდან მომხმარებლები პროდუქტის შექენამდე ეცნობიან eWOM-ს და, გარკვეულწილად, ენდობიან მას (Yones et al., 2023). შესაბამისად, თუ მომხმარებლების მიერ eWOM-ის მეშვეობით გაკეთებული შეფასებები დადებითია, ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ პროდუქტთან მიმართებით სხვა მომხმარებლებსაც მყიდველობითი განზრახვა ჩამოუყალიბდეს (Doh and Hwang, 2009). საერთოდ, WOM ხელს უწყობს მომხმარებლებს, შეარჩიონ მათთვის სასურველი პროდუქტები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა მომხმარებლების მიერ WOM-ის მეშვეობით გავრცელდა (Herr et al., 1991). ამ საქმეში სოციალური ქსელების როლი უფრო მეტად იზრდება, ვინაიდან ისინი ეხმარება მომხმარებლებს, ადვილად და სწრაფად გაეცნონ საზოგადოებრივ აზრს (Mladenović et al., 2021).. ონლაინ მომხმარებლების მიერ პროდუქტის გამოყენების შესახებ გამოცდილება კი მოქმედებს მათ ქცევაზე, ხოლო eWOM გამოდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, რომელიც მყიდველობითი გადაწყვეტილების მიღებას

განაპირობებს (Baker et al., 2016). აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ eWOM წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რომელიც ეხმარება მომხმარებლებს, მიიღონ ინფორმაციები მათთვის სასურველი პროდუქტის შესახებ (Chevalier and Mayzlin, 2006). ამასთან, ასეთი ურთიერთობები, გარკვეულწილად, ამცირებს იმ რისკებს და გაურკვევლობას, რომლებსაც მომხმარებლები ამა თუ იმ პროდუქტის შეძენისას ხშირად ეჯახებიან (Chatterjee, 2001; Rahmawati, 2022).

H2: ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია აქტივობები დადებით გავლენას ახდენს eWOM-ზე.

2.3. სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების გავლენა მომხმარებელთა ნდობაზე

ნდობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ონლაინ მომხმარებელთან ქცევაზე დაკვირვებისას (Kwortnik Jr and Han, 2011; Karunasingha and Abeysekera, 2022). ტერმინი „ნდობა“ სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული მარკეტინგულ ლიტერატურაში, მაგრამ ისინი ყველა ემყარება აღიარების, პატიოსნებისა და კომპეტენციის სხვადასხვა განზომილებას (Pirson et al., 2017). ინტერნეტ სამყაროს ახასიათებს საფრთხე და არაპროგნოზირებადობა. პატიოსნება და თანაგრძნობა კი ნდობის ორი ფუნდამენტური კომპონენტია (Ceglarz et al., 2017). ნდობა, რომელიც ეყრდნობა რეპუტაციას, გულისხმობს, რომ კეთილგანწყობა ეხება მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობას (Manzoor et al., 2020). ნდობა ონლაინსაზოგადოებას აძლევს საშუალებას, ონლაინ სივრცეში მჭიდრო ურთიერთობები დაამყაროს და სხვებსაც მოუწოდოს მსგავს აქტივობებში მიიღონ მონაწილეობა. შესაბამისად, ნდობა წარმოადგენს იმ მთავარ ფაქტორს, რომელიც მომხმარებლის მყიდველობით ქცევას განსაზღვრავს. (Chiu et al., 2012; Hong and Cho, 2011; Karunasingha and Abeysekera, 2022). ზემოთ ნახსენები კვლევები გვეხმარება იმაში, რომ ჩამოვყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H3: ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია აქტივობები დადებით გავლენას ახდენს სოციალური მედიის მიმართ მომხმარებელთა ნდობაზე.

2.4. სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების გავლენა მყიდველობით განზრახვაზე

ონლაინ სამყაროში ყიდვის შესახებ განზრახვის ანალიზი გადამწყვეტი კომპონენტია მომხმარებელთა ქცევის კვლევისთვის. ზოგადად რომ ვთქვათ, ინდივიდის განზრახვა არის ის, რაც აიძულებს მას განახორციელოს გარკვეული ქმედება (Rezvani et al., 2012). ყიდვის შესახებ განზრახვა ეხება მომხმარებლის გადაწყვეტილებას საქონლის ან მომსახურების შესაძენად. შედეგად, ის დაკავშირებულია მომხმარებელთა ქცევასთან და მის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს (Oosthuizen et al., 2015; Cuong, P. H. (2021)). მყიდველობითი განზრახვა განისაზღვრება, როგორც პროდუქტის ყიდვისა და მისი შესაძლებლობების ერთობლიობა (Kim and Ko, 2010). ბიზნესი ფრთხილად უნდა იყოს ყიდვის შესახებ განზრახვის შეფასებისას, რადგან ეს მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ქცევის პროგნოზირებისთვის (Baabdullah et al., 2019). მომხმარებელი აყალიბებს თავის ყიდვის განზრახვას გარკვეული პროდუქტისადმი მისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე (Wang and Chang, 2013; Manzoor et al. 2020). რაც უფრო მაღალია მყიდველობითი განზრახვა, მით უფრო ძლიერია პროდუქტისადმი დამოკიდებულება (Gremmler et al., 2001; Astoriano et al., 2022). გარდა ამისა, მომხმარებელთა ერთგულება საქონლის მიმართ განპირობებულია დადებითი მყიდველობითი განზრახვით (Hong and Cho, 2011). განზრახვა აჩვენებს იმ მაღალ ალბათობას, რომ მომხმარებლები ქმედებას განახორციელებენ (Farah, 2017) და ასევე, იმას, რომ პროდუქტს შეიძენენ (Kahraman and Kazançoğlu, 2019). ეს კი შესაძლებელს ხდის ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რომელ ნივთებს შეიძენს მომხმარებელი და როდის წავა საყიდლებზე (Hajli et al., 2017).

გამომდინარე იქედან, რომ სოციალური მედია ბიზნესსა და მის კლიენტებს შორის ორმხრივი კომუნიკაციის საუკეთესო ფორმაა, იგი ყიდვის შესახებ განზრახვის გენერირების საუკეთესო ინსტრუმენტია (Salhab et al., 2023). სოციალური მედია მომხმარებლებს ბრენდის შესახებ ინფორმაციას აწვდის, შესაბამისად, ისინი მას უფრო „პატიოსნად“ თვლიან. ბრენდის მიმართ კარგი დამოკიდებულება ამყარებს ისეთ ურთიერთობებს, რომელებიც დადებითად მოქმედებს ყიდვის შესახებ განზრახვის ფორმირებაზე (Hutter et al., 2013). საგულისხმოა ისიც, რომ სოციალური მედია აქტივობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მყიდველობით განზრახვაზე (Kim and Ko, 2012; Yadav and Rahman, 2017; Emini and Zeqiri, 2021).

ზემოთ ნახსენები კვლევები გვეხმარება იმაში, რომ ჩამოვყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზები:

- H4: ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია აქტივობები დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა მყიდველობითი განზრახვაზე.
- H5: სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით განზრახვაზე;
- H6: მომხმარებელთა მყიდველობითი განზრახვა დადებით გავლენას ახდენს eWOM-ზე;
- H7: სოციალური მედიისადმი მომხმარებელთა ნდობა დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით განზრახვაზე.

2.5. საინფორმაციო გადატვირთვა, როგორც ონლაინ საინფორმაციო წყაროების ზემოქმედების შედეგი

დღეისათვის ადამიანები განიცდიან ინფორმაციის უამრავი წყაროს (მაგალითად, ტელევიზიის, რადიოს, ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიის და ახალი ამბების პორტალების და. ა.შ.) ზემოქმედებას, რომელთა გამოყენებაც მათ, პრაქტიკული

თვალსაზრისით, შეუზღუდავად შეუძლიათ (Whelan et al., 2020). COVID-19-ის პანდემიის პერიოდში ინტერნეტის როლი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია ადამიანების ყოველდღიურ ინფორმაციულ ქცევაში ინტერნეტ კომუნიკაციების სხვადასხვა არხების მნიშვნელოვანი არსებობით და სოციალურ მედიაში მათი საგრძნობი აქტიურობით (Farooq et al., 2020). უფრო მეტიც, დღეისათვის ინტერნეტი წარმოადგენს საკომუნიკაციო და სოციალურ გარემოს, რომელშიც შესვლის ბარიერები ინფორმაციის მომწოდებლებისა და მაძიებლებისთვის საკმაოდ დაბალია (Cuan-Baltazar et al., 2020). უწინარეს ყოვლისა, ესაა ნოყიერი ნიადაგი ინფორმაციის უამრავი წყაროს არსებობისთვის, რომელთაგან ზოგიერთი მათგანის საიმედოობა საეჭვოა.

უამრავი რაოდენობის საინფორმაციო წყაროს მუდმივი ზემოქმედება იშვიათი როდია, მაგრამ მან მნიშვნელოვანი როლი მოიპოვა COVID-19-ის პანდემიის დროს, ვინაიდან ადამიანებმა მკვეთრად გაზარდეს დროის რაოდენობა, რომელსაც ისინი ინტერნეტში ატარებდნენ (Liu et al., 2021; Soroya et al., 2021). ასეთ პირობებში აშკარა პრობლემას წარმოადგენს უამრავ საინფორმაციო წყაროსთან შეხება, რომელშიც შერწყმულია ონლაინ ინფორმაციის (ხშირად წინააღმდეგობრივის) დამუშავებისა და გაგების სირთულეები (Talwar et al., 2020). ონლაინ საინფორმაციო წყაროების ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს საინფორმაციო გადატვირთვა, რაც მუდმივი კავშირის შეგრძნებისა და მოვლენების საქმის კურსში ყოფნის აუცილებლობას განაპირობებს (Matthes et al., 2020). ონლაინ ახალი ამბებისა და სოციალური მედიის სადღეღამისო ბუნება ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს შეუძლიათ, თავი ვალდებულად იგრძნონ, რათა ნებისმიერ დროს ინტერნეტში ჩართულნი და ინფორმირებულნი იყვნენ, რაც ინფორმაციის მუდმივ ნაკადს და პოტენციურად დიდი რაოდენობის კონტენტს იწვევს. ეს განსაკუთრებით კრიტიკულია კრიზისის ან ცალკეული მოვლენების დროს, ვინაიდან სიტუაციის არანორმალურობა და მისი შედეგები არ იძლევა საშუალებას, ჩატარდეს ინფორმაციის დეტალური დამუშავება, რომელიც გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს (Ahmed et al., 2020). CLT ვარაუდობს, რომ ინფორმაციის საფუძვლიანი დამუშავებისა და გაგებისათვის ადამიანებს შეზღუდული კოგნიტური უნარები აქვთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა მიღებული

ინფორმაციის მოცულობა და სირთულე (მაგალითად, გამოყენებული ტერმინოლოგიის გამო) აჭარბებს კოგნიტურ შესაძლებლობებს, წარმოიქმნება საინფორმაციო გადატვირთვა (Malik et al., 2020). საინფორმაციო გადატვირთვა განისაზღვრება, როგორც სიტუაცია, როცა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავება გართულებულია. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანების მიერ ასეთი ინფორმაციის კოგნიტური დამუშავება მოკლევადიან პერსპექტივაში შეზღუდულია (Kirschner, 2002) და დამოკიდებულია მათ ცოდნაზე, გამოცდილებაზე, სხვადასხვა შინაგან და გარეგან ფაქტორებზე. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ასეთ სიტუაციაში ადამიანებს მოკლევადიან პერსპექტივაში თავიანთი კოგნიტური უნარების კორექტირება შეუძლიათ Karr-Wisniewski and Lu, 2010.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როცა ინდივიდები მეტისმეტი რაოდენობის ინფორმაციის ზემოქმედებას მუდმივად განიცდიან, მათი კოგნიტური შესაძლებლობები გადაიტვირთება (Bermes, 2021; Liu et al., 2021; Soroya et al., 2021). შესაბამისად, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, რომელიც ცნობილია საინფორმაციო გადატვირთვის სახელით. აღნიშნულის გათვალისწინებით ვაყალიბებთ შემდეგ ჰიპოთეზას:

H8: კრიზისული მოვლენების შესახებ ონლაინ ინფორმაციის მეტისმეტი რაოდენობის წყაროების მუდმივი ზემოქმედება პირდაპირ და დადებითად უკავშირდება საინფორმაციო გადატვირთვას.

2.6. კიბერქონდრია და საინფორმაციო გადატვირთვა

კიბერქონდრია განისაზღვრება, როგორც ადამიანების შფოთვის ან შიშის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია მათი განმეორებითი, იძულებითი და უწყვეტი სურვილით, არსებულ პრობლემებთან დაკავშირებულ თემებზე მოიძიონ სამედიცინო ინფორმაცია (Jokić-Begić et al., 2019; Vismara et al., 2020). ამასთან, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ სამედიცინო ინფორმაციის მოძიება კრიზისის ან მოვლენების დროს და ჩვეულებრივ სიტუაციაში (ყოველდღიური ძიება). ძირითადი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება ინტერნეტში სამედიცინო ინფორმაციის მოძიების

დროს, მდგომარეობს იმაში, რომ ონლაინ მომხმარებლები ჯეროვნად ვერ აფასებენ ონლაინ ინფორმაციის საიმედოობას და აქტუალურობას (Huang et al., 2022; Kareklas et al., 2015). იმის გათვალისწინებით, რომ ონლაინ ინფორმაციის წყაროები შეიცავს ინფორმაციებს, რომლებიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან რელევანტურობის, სანდოობისა და სირთულის მიხედვით (Laato et al., 2020b), სათანადო დასაბუთებისა და მკაცრი საფუძვლების არმქონე ინფორმაციის მოხმარების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ეს განსაკუთრებით სამართლიანია არაგანმეორებად სიტუაციებში, როგორცაა, მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში არსებული საგანგებო სიტუაციები, როცა ადამიანები დიდი მოცულობის ინფორმაციის ზემოქმედებას განიცდიან, რომელსაც სისტემატური, მეთოდოლოგიური და მეცნიერული საფუძვლები არა აქვს (Laato et al., 2020a).

გარდა ამისა, ონლაინ საინფორმაციო წყაროებისა და იმ ინფორმაციების გავლენა, რომლებიც არსებულ მოსაზრებებს და საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებს ეწინააღმდეგება, ხშირად ინფორმაციის შემდგომი მოძიების აუცილებლობას იწვევს (Schmidt et al., 2021). COVID-19-თან მიმართებით მიგვაჩნია, რომ საინფორმაციო გადატვირთვამ გააღრმავა კიბერქონდრია, ვინაიდან აიძულა ადამიანები, ინტერნეტში მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უზარმაზარი მოცულობის სამუშაო ჩაეტარებინათ, როგორცაა, მაგალითად, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების მოძიება, ახალი ამბების მუდმივი მონიტორინგი და სხვა. ამან გაამწვავა ინდივიდების შფოთვა და შეშფოთება, რამაც ჯანმრთელობის შესახებ მეტისმეტი სიფხიზლის გრძნობა გააღრმავა. უფრო მეტიც, საინფორმაციო გადატვირთვა ხელს უწყობს ე.წ. „ინფოდემიის“ წარმოქმნას, როცა კრიზისული მოვლენის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობამ შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა და ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია (Lee et al., 2021). ამან, თავის მხრივ, შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ ინდივიდებმა არასწორად ახსნან ავადმყოფობის სიმპტომები ან ენდონ დაუსაბუთებელ ინფორმაციებს, რაც კიბერქონდრიას კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს. საინფორმაციო გადატვირთვის პირობებში სავარაუდოა, რომ წინააღმდეგობრივი, გადაუმოწმებელი და მეთოდოლოგიურად არასისტემური ინფორმაციის (დეზინფორმაციის) უწყვეტი

მოხმარება იწვევს კიბერქონდრიის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ამიტომ წამოვყენეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H9: საინფორმაციო გადატვირთვა პირდაპირ და დადებითადაა დაკავშირებული კიბერქონდრიასთან.

2.7. კიბერქონდრიის გავლენა კრიზისული მოვლენის შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, გადაცემასა და წარდგენაში

მრავალმა მეცნიერმა გამოიკვლია ონლაინ საინფორმაციო ქცევა, რისთვისაც გამოიყენა ინფორმაციის მოძიების, გადაგზავნისა და წარდგენის კონცეფციები (concepts of information seeking, forwarding, and providing) (Cheong and Mohammed-Baksh, 2020; Chu and Kim, 2011; Farías, 2017; Lee and Choi, 2019; Mladenović et al., 2020). ეს სამი კონცეფცია დიდწილად ახდენს საინფორმაციო ნაკადების ფორმალიზებას (Kucukemiroglu and Kara, 2015; Lee and Choi, 2019; Mladenovic et al., 2019).

ინფორმაციის წარდგენის საკითხი დიდი ხანია, მკვლევართა დაინტერესებას იწვევს, რასაც განაპირობებს მისი მნიშვნელოვანი როლი ინდივიდების მზადყოფნაში, მონაწილეობა მიიღონ ინფორმაციის გაცვლაში (Cheong and Mohammed-Baksh, 2020). ონლაინ გარემო, როგორც სოციალურად ინტენსიური გარემო, საზოგადოებრივი აზრის ლიდერებისათვის ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო პირობებს ქმნის (Babić Rosario et al., 2020; Kucukemiroglu and Kara, 2015). ონლაინ კომუნიკაციის პლატფორმების განსაკუთრებული ზრდა, რომელიც ინდივიდების ერთმანეთთან ურთიერთობას ხელს უწყობს, აზრის ლიდერებს ინფორმაციის გაცვლის ეფექტიან საშუალებებს სთავაზობს. საზოგადოებრივი აზრის ლიდერები, ჩვეულებრივ, საგნობრივ სფეროში მნიშვნელოვან ცოდნას ფლობენ (Mladenovic et al., 2020), რომელსაც თავიანთი სპეციალური გავლენის და აღიარების მეშვეობით ავრცელებენ (Cheong and Mohammed-Baksh, 2020).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ინფორმაციის წარდგენის იდეა ეფუძნება ვარაუდს, რომ სხვა ადამიანები ეძებენ ინფორმაციებს, რასაც ცალკეული ძიებების

რაოდენობაც ადასტურებს. ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ონლაინ ინფორმაციის მიმწოდებლები ასევე ასრულებდნენ ინფორმაციის მაძიებლის როლს, რათა საგნობრივ სფეროში მეტი ცოდნა დააგროვონ (Zhao et al., 2020). ონლაინ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია საძიებო კითხვებით (Liu, 2020). როგორც წესი, ინდივიდები აქტიურად ეძებენ ინფორმაციებს ონლაინ სივრცეში, რათა უფრო მეტად დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღონ (Leonhardt et al., 2020). ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებისათვის ინდივიდები, სამედიცინო პერსონალთან კონსულტაციების გარეშე, ყველაზე უფრო ხშირად საძიებო სისტემებს იყენებენ (Jokić-Begić et al., 2019). Microsoft-ის მიერ ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ონლაინ ინფორმაციის წყაროებში სჭარბობს ისეთი კონტენტები, რომლებშიც ასახულია სერიოზული და იშვიათი დაავადებები და არაა ფოკუსირებული ზოგადი სიმტომების (მაგალითად, თავის ტკივილის) შედარებით მსუბუქ აღწერაზე (Bochet et al., 2014). COVID-19-ის კონტექსტთან მიმართებით, სავარაუდოა, რომ ინდივიდები, რომლებსაც სურდათ ონლაინ ინფორმაციის მიღება, COVID-19-ის შესახებ ზედაპირულ ცოდნას ფლობდნენ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას ცდილობდნენ.

Lu და სხვები (2022) ამტკიცებენ, რომ ინფორმაციის გადაგზავნა ყველაზე უფრო კარგად ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, ვინაიდან ამ გარემოს მახასიათებლები ხელს უწყობენ მრავალმხრივ ურთიერთობებს. ანალოგიურად, Arruda Filho და სხვები (2021) მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ინდივიდებს შეუძლიათ, პრაქტიკულად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე უფრო ფართო მასშტაბით გაავრცელონ ინფორმაციები ონლაინ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ეს იგნორირებული კონსტრუქციაა (Babić Rosario et al., 2020; Kim et al., 2020). ფართო გაგებით, ინფორმაციის გადაგზავნა ითვალისწინებს სხვადასხვა მოტივით (მაგალითად, ალტრუიზმის, შიშის და თანაგრძნობით) ონლაინ არხების მეშვეობით კონტენტის გაგზავნას (Lee and Choi, 2019) და პოტენციურად გამოდის, როგორც შუამავალი ინფორმაციის მაძიებლებსა და ინფორმაციის მიმწოდებლებს შორის (Mladenovic et al., 2019). ინფორმაციის გადაგზავნა ასევე ითვალისწინებს იმას, რომ ინდივიდები შერჩევით გადასცემენ სხვადასხვა მოვლენის შესახებ ინფორმაციებს სოციალურად ახლობელ ან უცნობ ადამიანებს,

რომლებიც, მათი მოსაზრებით, ამაში დაინტერესდებიან (მაგალითად, ავადმყოფობის გამო).

ჯანმრთელობასთან მიმართებით ონლაინ გარემო - ესაა ინფორმაციის წყაროების ფართო, მოხერხებული და ხელმისაწვდომი საშუალება. იგი ამარტივებს ფართო მასშტაბით ინფორმაციის მოძიებას, გაცვლას და გადაგზავნას. ამ მოსაზრებას ამტკიცებს COVID-19-ის შესახებ ინფორმაციის ძიებები, რამაც კიბერქონდრია გამოიწვია, რომლის თანახმადაც ინდივიდები ცდილობდნენ, მონაწილეობა მიეღოთ ინფორმაციის გადაგზავნასა და გაცვლაში მაშინათვე, როცა მათ საიმედო ინფორმაცია გაუჩნდებოდათ (Jok'c-Begi'c et al., 2019; Laato et al., 2020a). ზოგიერთ შემთხვევაში კიბერქონდრია ითვალისწინებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში ინდივიდების მეტისმეტად ჩართვას და ინფორმაციის დაგროვებას. მაგალითად, COVID-19-ის პანდემიამ გამოიწვია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მრავალნაირი პრობლემა, შფოთვა და არასტაბილურობა (Eger et al., 2021).

თავისი ძირითადი პოსტულატების გათვალისწინებით, TFA კარგად მიესადაგება კიბერქონდრიას. TFA-ზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდივიდები თავიანთ სოციალურ ქსელებში ინფორმაციებს აგროვებენ და დაგროვილ ცოდნას ავრცელებენ. შესაბამისად, ისინი, თავიანთი საინფორმაციო ბაზის გაფართოებისათვის, შემდგომშიც მოიძიებენ ინფორმაციებს კრიზისული მოვლენების შესახებ. COVID-19-ის კონტექსტში TFA ითვალისწინებს, რომ COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაცია მოთხოვნადი არაა, არ გადაიგზავნება და არც წარედგინება სოციალურ მედიაში (მაგალითად, ახლობლებს ან სხვა სოციალურ ჯგუფებს), ზოგადი შედეგები შეიძლება არსებითად ნეგატიური აღმოჩნდეს, როგორცაა, მაგალითად, სიკვდილიანობის რაოდენობის მატება, ეკონომიკის დაცემა, მოსახლეობის გადაადგილების შეზღუდვა და სხვა.

თავისი არსით, TFA ვარაუდობს, რომ საფრთხის შემცველი ან პოტენციურად საზიანო სიტუაციების შესახებ ინდივიდების რეაქციები დამოკიდებულია მათი შიშის დონეზე და სარეკომენდაციო მოქმედებების ეფაქტიანობაზე. მაგალითად, COVID-19-თან მიმართებით, კიბერქონდრიამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდების საინფორმაციო ქცევაზე, ვირუსის შესახებ მათ შიშზე და შემფოთების დონეზე, რაც პოტენციურად იწვევს არაადაპტირებულ ქცევას (ასეთია, მაგალითად, ინფორმაციის

გაზიარება, გადაცემა და გადაგზავნა). ამრიგად, ჯანმრთელობის შესახებ შიშის დონემ შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მარტო ინფორმაციის მოძიებაზე (კიბერქონდრიის შემდგომი ზრდა), არამედ ინდივიდების განზრახვაზე, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაციის გაზიარებასა და გადაცემაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ავადმყოფობის თავიდან აცილებას (მაგალითად, სხვების საინფორმაციო ბაზის გაუმჯობესებას). მართალია, TFA გამოიყენება სარეკომენდაციო კამპანიებში, ჯანმრთელობისა და სამედიცინო დაზღვევის პრომოციაში (Addo et al., 2020; Ahmed et al., 2020; Laroche et al., 2001), დღემდე არაა კვლევები კრიზისული მოვლენებისა და საგანგებო სიტუაციების პერიოდში ინფორმაციის დინამიკის (მოძიება, გადაცემა და წარდგენა) შესწავლის საქმეში (Mladenović et. al., 2023).

კიბერქონდრიის შესახებ TFA-ს პოსტულატებზე დაყრდნობით და ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზები:

- H10: კიბერქონდრია პირდაპირ და დადებითად უკავშირდება eWOM-ს;
- H10a: კიბერქონდრია პირდაპირ და დადებითად უკავშირდება კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოძიებას.
- H10b: კიბერქონდრია პირდაპირ და დადებითად უკავშირდება კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნას.
- H10c: კიბერქონდრია პირდაპირ და დადებითად უკავშირდება კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის წარდგენას.

2.8. შიშის გავლენა კრიზისული მოვლენების შესახებ ონლაინ ინფორმაციის მოძიებაში, გადაგზავნასა და წარდგენაში

ეპიდემიები, შედარებით ფართო კონტექსტით, არ წარმოადგენს იშვიათ კრიზისულ მოვლენას. უახლეს ისტორიაში მსოფლიო შეეჯახა სხვადასხვანაირი ხანგრძლივობისა და სიმძიმის მრავალ ეპიდემიას (ასეთია, მაგალითად, ატიპური პნევმონია, ესპანური გრიპი, H1N1 ვირუსი და სხვა) (Lucas et al., 2020). მათ აერთიანებთ ის, რომ ისინი ქმნიან სტრესულ გამოცდილებებს, რომლებმაც მთელი რიგი

ფსიქოლოგიური ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში ნებისმიერი მსხვილმასშტაბიან კრიზისი, ინდივიდების ქცევასთან მიმართებით, ჩვეულებრივ, ორი ტიპის პირდაპირ შედეგს იწვევს (Wang et al., 2020). პირველი: იგი არსებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა ყოველდღიური ქცევის მოდელზე (მაგალითად, საქონლის შერჩევაზე, იმპულსურ ყიდვაზე, ყიდვის სიხშირეზე და ა.შ.). მეორე: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მაღალი რისკის (მაგალითად, COVID-19-ით დაინფიცირების რისკის) გამო ინდივიდები ცვლიან თავიანთ ქცევას (მაგალითად, ატარებენ ნიღაბს ან ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით იცრებიან) (Loxton et al., 2020; Schmidt et al., 2021). თავისი არსით, ინდივიდები თავიანთ ქცევას ცვლიან პოტენციურად სერიოზული შედეგების შიშის გამო, თუ რისკების გაცნობიერება და შემცირება სათანადოდ არ მოხდება.

მრავალი ავტორი ამტკიცებს, რომ შიშისა და სტრესის მომატებული დონე იწვევს უფრო აქტიურ ინდივიდუალურ მიდგომებს, რომელიც მოიცავს გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო საინფორმაციო ბაზის გაფართოებას (Burroughs and Rintავისუფლების ხარისხის, 2002; Duhachek, 2005). იმის გათვალისწინებით, რომ კრიზისის პეროდში ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეგობრებისა და ახლობლებისგან მიღებული ინფორმაცია და არა ხელისუფლების ორგანოების მიერ გაკეთებული განცხადებები (Chawla et al., 2021), გონივრულია, ვიფიქროთ, რომ ინდივიდები არასტაბილურ პერიოდებში ინფორმაციის გაცვლის პროცესში უფრო აქტიურად ჩაერთვებიან. ამიტომ მიგვაჩნია, რომ შიშის აღქმული დონე გავლენას ახდენს ადამიანების მიდრეკილებაზე, კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოიძიონ, გადაგზავნონ და წარადგინონ. ეს მოსაზრება ეფუძნება არგუმენტს, რომ შიშის აღქმული დონე (ჯანმრთელობის ან ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე) იწვევს პოტენციურად ნეგატიურ სოციალურ და ინდივიდუალურ შედეგებს (Addo et al., 2020; Ahorsu et al., 2020). იმისათვის, რათა ინდივიდებმა თავიდან აიცილონ მათი წარმოქმნის (ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეამცირონ მათი პოტენციური ზემოქმედება), ისინი, თავიანთი სოციალური ქსელების მეშვეობით, მნიშვნელოვან ინფორმაციებს გადასცემენ.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გათვალისწინებით, შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H11: კიბერქონდრია დადებით გავლენას ახდენს შიშზე;

H12: შიში დადებით გავლენას ახდენს eWOM-ზე;

H12a: შიში დადებით გავლენას ახდენს კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე;

H12b: შიში დადებით გავლენას ახდენს კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გადაცემაზე;

H12c: შიში დადებით გავლენას ახდენს კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე.

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია

ამ თავის მიზანია, აღწეროს კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემების შეგროვებისათვის გამოყენებული მეთოდები. მეთოდოლოგია მოიცავს კვლევისადმი მიდგომებს, კვლევის დიზაინს, მონაცემების შეგროვების მეთოდებს, კვლევის კონსტრუქციას და კვლევის მოდელს, ანკეტის დიზაინს და საზომ სკალებს, შერჩევის დიზაინს, მონაცემების შეგროვებას, მონაცემების დამუშავებას და ანალიზს, საზომების სანდოობას. მთლიანობაში, აღწერილია ის გზები, რომლითაც ვატარებდით კვლევას, რათა რელევანტური მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის პროცესი ყოფილიყო კარგად ორგანიზებული.

3.1. კვლევისადმი მიდგომები

Saunders და სხვების (2019) მიხედვით, არსებობს კვლევითი მიდგომის სამი ტიპი: დედუქციური, ინდუქციური და აბდუქციური. წინა პარაგრაფში აღწერილი ლიტერატურული მასალების გვიჩვენებს, რომ სოციალურ მედიაში მარკეტინგული საქმიანობის აქტივობის გავლენის შესახებ ჩატარებულია მნიშვნელოვანი კვლევები. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მეტად საგულისხმო თეორიული საფუძვლები, რომლებსაც შეიძლება დავეყრდნოთ. დედუქციური მეთოდი გამოვიყენეთ ჯანდაცვაში სოციალური მედია მარკეტინგის შესახებ არსებული ინფორმაციების განზოგადებისათვის (Bryman and Bell, 2011; Saunders et al., 2019). შემდგომში, თეორიული შეხედულებების შემოწმებისათვის მოვახდინეთ ჰიპოთეზების ტესტირება (Bryman and Bell, 2011; Malhotra, 2010; Saunders et al., 2019). ამ შემთხვევაში დედუქციური კვლევითი მიდგომა ყველაზე შესაფერისად ჩავთვალეთ. ამრიგად, მეთოდოლოგია ითვალისწინებს ისეთ სტრუქტურას, რომელიც მიღებული შედეგების საფუძველზე მომავალი კვლევების ჩატარების საშუალებას იძლევა. კერძოდ, იგი სასარგებლოა სხვა მკვლევრებისათვის, რათა მათ მომავალში შეძლონ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გამოყენება და განსაზღვრულ ცვლადებს შორის კავშირურთიერთობის შემოწმება.

3.2. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი - ესაა სტრუქტურა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კვლევა. Saunders და სხვების (2019) მიხედვით, კვლევის დიზაინი წარმოადგენს მოქმედებათა სერიას, რომლის მიზანია კვლევის კითხვებზე პასუხის გაცემაში დახმარების გაწევა. მისი მეშვეობით ხორციელდება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროცედურებისა და მეთოდების განსაზღვრა (Saunders et al., 2019). არსებობს კვლევის უამრავი მეთოდი და ტექნიკა, რომელთა არჩევა დამოკიდებულია კვლევითი პროექტის კონკრეტულ მიზნებზე (Bryman and Bell, 2011).

3.3. მონაცემების შეგროვების მეთოდი

კვლევის დიზაინი მოიცავდა პირველადი და მეორადი მონაცემების შეგროვებას (Malhotra, 2010). კვლევაში გამოყენებული მეორადი მონაცემები ითვალისწინებს გამოქვეყნებულ მასალებს, როგორცაა წიგნები, სამეცნიერო სტატიები, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების სტატისტიკური წყაროები. მათი ანალიზი დაგეხმარა კვლევის პრობლემის განსაზღვრაში, ჰიპოთეზების ფორმულირებასა და კვლევისადმი მიდგომების შემუშავებაში.

რაც შეეხება პირველად მონაცემებს, როგორც ცნობილია, არსებობს მათი მოპოვების ორი მეთოდი - თვისებრივი და რაოდენობრივი. თვისებრივი კვლევა ორიენტირებულია უფრო სიღრმისეულ კონცეპტუალურ მიდგომაზე, ხოლო რაოდენობრივი კვლევა იყენებს თეორიის გაფართოების დედუქციურ მიდგომას (Bryman and Bell, 2011). ეს უკანასკნელი ფოკუსირებულია რიცხვითი მონაცემების შეგროვებაზე და შესაბამისი ჰიპოთეზების შემოწმებაზე (Bryman and Bell, 2011). წინამდებარე კვლევაში მოცემული მონაცემები წარმოდგენილია ციფრების სახით, რაც რაოდენობრივი კვლევითი სტრატეგიის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, ვინაიდან იგი მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისა და შესაბამისი ანალიზის საშუალებას

იძლევა. ასეთი სტრატეგია ასევე უზრუნველყოფს იმის გამჭვირვალობას, თუ როგორ მოხდა შედეგების მიღება (Bryman and Bell, 2011). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდი იყო ყველაზე უფრო შესაფერი ჩვენი კვლევისათვის და ის ავირჩიეთ ცვლადებს შორის კავშირურთიერთობის ტესტირებისა და ანალიზისათვის.

რაოდენობრივი მონაცემების მოსაპოვებლად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, აღწერითი კვლევა, რომელიც მონაცემების შეგროვების სფეროში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია (Saunders et al., 2019). აღწერითი მეთოდებიდან კი შევაჩიეთ მომხმარებელთა გამოკითხვა, რისთვისაც სპეციალურად შევადგინეთ ანკეტა. ჩვენ ჩავატარეთ პროფილურ კვლევა, კერძოდ, გენერალური ერთობლიობიდან მონაცემები შევაგროვეთ მხოლოდ ერთხელ (Malhotra, 2010). გარდა ამისა, პროფილური კვლევა გამოვიყენეთ იმიტომ, რომ ესაა ადეკვატური არჩევანი სხვადასხვა ცვლადებს შორის კორელაციური და რეგრესიული დამოკიდებულების გაზომვისათვის. ასეთი მიდგომა საკმაოდ ეფექტანია და შესაძლებლობას იძლევა, რომ შედარებით მცირე დროში მონაცემთა საკმაოდ რაოდენობა შეგროვების შვაგროვოთ.

3.4. კვლევის კონსტრუქცია და კვლევის მოდელი

მოცემულ კვლევაში ცვლადები ფორმულირებულია დედუქციური და რაოდენობრივი მიდგომების საფუძველზე. ჩვენი მიზანია ის, რომ გავზომოთ კორელაციური და რეგრესიული დამოკიდებულებები დამოუკიდებელ ცვლადებს (სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობა; ონლაინ საინფორმაციო წყაროს ზემოქმედება და საინფორმაციო გადატვირთვა) და დამოკიდებულ ცვლადებს (სოციალურ მედიაში ჩართულობა, E-WOM, ნდობა, მყიდველობითი განზრახვა; კიბერქონდრია და შიში) შორის (იხ. ცხრილი 3.1).

კვლევის კონსტრუქცია

ცვლადები	კოდი	საზომი დებულებები	წყარო
ონლაინ საინფორმაციო წყაროს ზემოქმედება და საინფორმაციო გადატვირთვა (Exposure to Information Sources (EIS) and Information Overload (IO))	EIS	საინფორმაციო წყაროს ზემოქმედება	Karr-Wisniewski and Lu, 2010; Laato et al. 2020a; Whelan et al., 2020.
	EIS1	ჩემზე მოქმედებს ინტერნეტსაძიებო სისტემები	
	EIS2	ჩემზე მოქმედებს სოციალური მედია	
	EIS3	ჩემზე მოქმედებს სამედიცინო ორგანიზაციების ვებსაიტები	
	EIS4	ჩემზე მოქმედებს ონლაინფორუმები და ბლოგები	
	EIS5	ჩემზე მოქმედებს მეგობრები და ახლობლები	
	EIS6	ჩემზე მოქმედებს სამთავრობო ვებსაიტები	
	IO	საინფორმაციო გადატვირთვა	
	IO1	მე ხშირად მაწუხებს ჯანდაცვის შესახებ მრავალ არხზე/წყაროზე განთავსებული ინფორმაციის გადაჭარბებული რაოდენობა	
	IO2	მე აღმოვაჩინე, რომ გადატვირთული ვარ იმ ინფორმაციის რაოდენობით, რომელსაც ჯანდაცვის შესახებ მრავალ არხზე/წყაროზე ყოველდღიურად ვეცნობი	
IO3	მე ხშირად მაწუხებს ჯანდაცვის შესახებ მრავალ არხზე/წყაროზე განთავსებული ინფორმაციის გადაჭარბებული რაოდენობა		
სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობა (Social Media Marketing Activity (SMMA))	SMMA1	ჯანდაცვის ორგანიზაციები სოციალურ მედიაში ერთვებიან თავიანთი საქმიანობის წარმოჩინებისათვის	Dodokh, and Al-Maaitah, 2019; Swan et al.2019; Ghalavand et al. 2020
	SMMA2	ჯანდაცვის ორგანიზაციები მომხმარებლებთან ურთიერთობას აუმჯობესებენ სოციალური მედიის გამოყენებით	
	SMMA3	ჯანდაცვის ორგანიზაციები ერთვებიან სოციალურ მედიაში, რათა	

		მომხმარებლებისგან კეთილგანწყობა მოიპოვონ	
	SMMA4	ჯანდაცვის ორგანიზაციები სოციალურ მედიაში მომხმარებელთა გამოხმაურებების საფუძველზე აუმჯობესებენ თავიანთი მომსახურების ხარისხს	
	SMMA5	ჯანდაცვის ორგანიზაციები ერთვებიან სოციალურ მედიაში, რათა დიფერენცირებული მარკეტინგული სტრატეგიები შეიმუშაონ	
	SMMA6	ჯანდაცვის ორგანიზაციები სოციალურ მედიაში იყენებენ ინოვაციურ მიდგომებს, რათა თავიანთი მომსახურების რეკლამა მოახდინონ	
	SMMA7	ჯანდაცვის ორგანიზაციები სოციალურ მედიას იყენებენ იმისათვის, რომ კონკურენტულ უპირატესობას მიაღწიონ	
სოციალურ მედიაში ჩართულობა (Engagement (EN))	EN1	სოციალურ მედიაში განთავსებულ ჯანდაცვის ორგანიზაციების გვერდებს ხშირად ვეცნობი	Toor et al. 2017; Rahman, 2017; Kostigina et al. 2020
	EN2	სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ პოსტებს ხშირად ვეცნობი	
	EN3	სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ პოსტებს ხშირად ვიწონებ	
	EN4	სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ პოსტებზე კომენტარებს ხშირად ვაკეთებ	
	EN5	საინტერესო ინფორმაციის მისაღებად სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ პოსტებს თვალყურს ხშირად ვადევნებ	
eWOM	IS	ინფორმაციის მოძიება (Information Seeking (IS)) სოციალურ მედიაში	Mladenovi'c et al.2021.
	IS1	როცა მე განვიხილავ ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას, რჩევას ვეკითხები სოციალურ ქსელებში ჩემს ნაცნობებს	
	IS	მანამ, სანამ შევიძენ ჯანდაცვასთან	


IS2	დაკავშირებულ მომსახურებას, მე არ მჭირდება გავესაუბრო სოციალურ ქსელებში ჩემს ნაცნობებს
IS3	მანამ, სანამ შევიძენ ჯანდაცვასთან დაკავშირებულ მომსახურებას, მე ვცდილობ, გავიგო სოციალურ ქსელებში ჩემი ნაცნობების აზრი
IS4	მე იშვიათად ვეკითხები სოციალურ ქსელებში ჩემს ნაცნობებს, თუ რომელი მომსახურება შევიძინო ჯანდაცვასთან მიმართებით
IS5	ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების შერჩევას მე თავს კომფორტულად ვთვლი მაშინ, როცა ამის შესახებ სოციალურ ქსელებში ჩემი ნაცნობების გამოხმაურებებს ვეცნობი
IP	<i>ინფორმაციის გადაცემა (Information Passing (IP)) სოციალურ მედიაში</i>
IP1	ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ ინფორმაციას, ჩვეულებრივ, გადავცემ სოციალურ ქსელებში ჩემს მეგობრებს მაშინ, როცა ეს ჩემთვის სასარგებლოა
IP2	მე მიყვარს სოციალურ ქსელებში ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ კომენტარების გაკეთება იმ მომსახურებაზე, რომელიც მომწონს
IP3	როცა მე მეგობრისაგან ვღებულობ ინფორმაციას ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ, მას გადავცემ სოციალური ქსელის სხვა მეგობრებს
IP4	მე მიყვარს სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ სხვა ჯგუფებისაგან მიღებული ინფორმაციის გადაცემა ჩემი მეგობრებისათვის
IP5	მე, ჩვეულებრივ, სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ ჩემს მეგობრებს დადებით გამოხმაურებებს გადავცემ

	IP6	მე, ჩვეულებრივ, სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ ჩემს მეგობრებს უარყოფით გამოხმაურებებს გადავცემ	
	IG	ინფორმაციის წარდგენა (Information Giving (IG)) სოციალურ მედიაში	
	IG1	მე ხშირად ვარწმუნებ სოციალურ მედიაში ჩემს მეგობრებს, შეიძინონ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ის მომსახურება, რომელიც მომწონს	
	IG2	ჩემი მეგობრები სოციალურ ქსელებში ირჩევენ ჯანდაცვასთან დაკავშირებულ იმ მომსახურებას, რომელიც მათ ვურჩიე	
	IG3	სოციალურ ქსელებში მე ხშირად ვახდენ გავლენას ჩემს მეგობრებზე ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ	
სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობებისადმი ნდობა (Trust (TR))	TR1	ჩემი აზრით, სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების აქტივობა სანდოა	Chiu et al. 2012; Hong and Ch0, 2011
	TR2	ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ სოციალურ მედიაში შემოთავაზებულ მომსახურებას შევიძენ იმიტომ, რომ იგი სანდოა	
	TR3	ჩემი აზრით, ჯანდაცვის ორგანიზაციები კომპეტენტურები არიან სოციალურ მედიაში ჩატარებულ აქტივობებთან მიმართებით	
	TR4	ჩემი აზრით, ჯანდაცვის ორგანიზაციები სოციალურ მედიაში განთავსებულ დანაპირებს განახორციელებენ	
მყიდველობითი განზრახვა (Purchase Intention (PI))	PI1	სოციალური მედია მეხმარება იმაში, რომ ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების შექენამდე სწორი გადაწყვეტილება მივიღო	Chiu et al. 2012; Wang and Chang, 2013; Toor et al. 2017; Manzoor et al. 2020
	PI2	სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობა მიმატებს ინტერესს, რათა სამედიცინო მომსახურება შევიძინო	

	PI3	სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ მომსახურებას შევიძინ	
	PI4	რეკომენდაციას ვაძლევ ჩემს ახლობლებს, რათა ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ სოციალურ მედიაში შემოთავაზებული მომსახურება შეიძინონ	
	PI5	საჭიროების შემთხვევაში ვაპირებ შევიძინო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ სოციალურ მედიაში შემოთავაზებული მომსახურება	
კიბერქონდრია და შიში (Cyberchondria (CYB) and Fear (FR))	CYB	კიბერქონდრია	Jokić-Begić et.al. 2019
	CYB1	კრიზისული მოვლენების შესახებ ონლაინ ინფორმაციის მოძიების შემდეგ დაბნეული ვარ	
	CYB2	კრიზისული მოვლენების შესახებ ონლაინ ინფორმაციის მოძიების შემდეგ განვიცდი იმედგაცრუებას	
	CYB3	მას შემდეგ, რაც დავიწყებ კრიზისული მოვლენების შესახებ ონლაინ ინფორმაციის გაცნობას, ვერ ვჩერდები	
	FR	შიში	
	FR1	როცა კრიზისული მოვლენების შესახებ ონლაინ ვეცნობი ახალ ამბებს ან ისტორიებს, ვიწყებ ნერვიულობას და შფოთვას	
	FR2	ყველაზე უფრო მეტად კრიზისული მოვლენების მეშინია	

წყარო: ავტორი

ზემოთ მოცემული კონსტრუქციისა და შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შევიმუშავეთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც აღწერს მომხმარებელთა ქცევაზე ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგის გავლენას (იხ. ნახ. 3.1). კვლევის კონცეპტუალური მოდელის აღნაგობა ცალკეული ცვლადებისა და შესაბამისი დებულებების მიხედვით ნაჩვენებია 3.2 ნახაზზე.




ნახ.3.1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი

წყარო: ავტორი

3.5. ანკეტის დიზაინი და საზომი სკალები

წინამდებარე კვლევაში მონაცემთა შეგროვების ძირითადი მეთოდად გამოვიყენეთ ანკეტური გამოკითხვა. ამასთან, ანკეტური გამოკითხვა ჩავატარეთ ელექტრონული ფორმით თვითადმინისტრირებადი მეთოდის საშუალებით. ასეთი მიდგომა ავირჩიეთ იმიტომ, რომ იგი საშუალებას იძლევა, რესპონდენტებისაგან მონაცემები მარტივად, შედარებით სწრაფად და იაფად შეგროვდეს (Saunders et al., 2019). ანკეტა შედგება 5 სექციისგან (იხ. დანართი 1). პირველ სექციაში მოცემულია კითხვები სოციალური მედიისადმი რესპონდენტების ზოგადი დამოკიდებულების შესახებ, მეორე სექციაში - ჯანდაცვაში სოციალური მედიის როლის შესახებ, მესამე სექციაში - ჯანდაცვასთან მიმართებით სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების შესახებ, მეოთხე სექციაში - სოციალურ მედია აქტივობაზე კრიზისული მოვლენების (მათ შორის COVID-19-ის პანდემიის) გავლენის შესახებ, ხოლო მე-5 სექციაში - რესპონდენტის დემოგრაფიული პროფილის შესახებ.



ნახ. 3.2. კვლევის კონცეპტუალური მოდელის აღნაგობა სტრუქტურული განტოლების მოდელის გამოყენებით

წყარო: ავტორი

ანკეტაში მოცემულ კითხვებზე პასუხები შეირჩევა მრავალვარიანტული მიდგომით. გაზომვა ეფუძნება ლიკერტის 5 ბალიან სკალას (1=სრულიად არ ვეთანხმები, 2= არ ვეთანხმები, 3= ნეიტრალური, 4= ვეთანხმები, 5= სრულიად ვეთანხმები). ანკეტა ისე იყო შედგენილი, რომ მისი შევსებისათვის საკმარისი იყო 15-20 წუთი.

3.6. შერჩევის დიზაინი

შერჩევის განსაზღვრა მოვახდინეთ სააღბათო შერჩევის მეთოდით. საკვლევი ტერიტორია მოიცავდა საქართველოს. შერჩევა განსაზღვრის მთავარ პირობას წარმოადგენდა მისი რეპრეზენტაციულობა. შერჩევის ზომის დასადგენად გამოვიყენეთ ფორმულა (Krejcie and Morgan, 1970) :

$$S = \frac{x^2 N P(1-P)}{d^2(N-1) + x^2 P(1-P)}, \quad (3.1)$$

სადაც: S არის შერჩევის მისაღები ზომა; x^2 -ის მნიშვნელობა მოცემულია ცხრილში, რომელშიც თავისუფლების ხარისხი (თავისუფლების ხარისხი) ტოლია 1-ის, სანდოობის სასურველი დონის გათვალისწინებით ($1,96 \times 1,96 = 3,8416$); N არის გენერალური ერთობლიობა; P მოსახლეობის ხვედრითი წილია, რომელიც აღებულია 0.50-ის ტოლი მნიშვნელობით, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ დისპერსიას; d არის კვლევის სიზუსტე, რომელიც ტოლია 0.05-ის.

საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს მოსახლეობა 2017 წლის აღწერის მიხედვით იყო 3,7 მლნ ადამიანი. ამათგან 18 წლის ზემოთ ინტერნეტის მომხმარებელია 2294000 ადამიანი (National Statistics Office of Georgia, 2023). სწორედ, ეს რაოდენობა წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზნობრივ გენერალურ ერთობლიობას. ამ მონაცემისა და (3.1) ფორმულის გათვალისწინებით, შერჩევის ზომა ჩვენი კვლევისათვის იქნება:

$$S = \frac{1,96^2 \times 2294000 \times 0,5 \times (1 - 0,5)}{0,05^2(2294000 - 1) + 1,96^2 \times 0,5(1 - 0,5)} = 373,2$$

ამრიგად, შერჩევის ზომა ჩვენი კვლევისათვის განისაზღვრა 374 ადამიანით.

3.7. მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი

კვლევები გვიჩვენებს, რომ დაგზავნილი ანკეტიებიდან პასუხის გაცემის საშუალო მაჩვენებელია 70-75%, რაც კარგი შედეგია (Heslop et al., 1998). აღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალური ქსელების გამოყენებით შევხვდით 747 რესპონდენტს, საიდანაც მივიღეთ 555 შევსებული ანკეტა, რაც არის მთლიანი რაოდენობის 74,3%. ანკეტის წინასწარი ტესტირებისათვის რესპონდენტთა მცირე ჯგუფთან ჩავატარეთ გამოკითხვა. გამოვლენილი ხარვეზები გავასწორეთ და შემდეგ მიზნობრივი მომხმარებლები მასობრივად გამოვკითხეთ. სულ შევაგროვეთ 555 პასუხგაცემული ანკეტა. მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი ჩავატარეთ შემდეგნაირად: თავდაპირველად ანკეტიდან მონაცემები გადავიტანეთ „მაიკროსოფტ ექსელის“ ცხრილში, ხოლო შემდეგ მონაცემები დამუშავდა SPSS-22-ის და SmartPLS4-ის მეშვეობით. სტატისტიკური ანალიზის მეთოდებიდან გამოვიყენეთ პირსონის კორელაციური ანალიზი, რეგრესიული ანალიზი და დისპერსიული ანალიზი.

3.8. გაზომვის სანდოობა

გაზომვის სანდოობის დასადგენად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა კოეფიციენტი (კრონბახის ალფას) და AVE. ითვლება, რომ სანდოობის კოეფიციენტი მისაღებია, თუ ის ტოლია ან აღემატება 0.60-ს (Nunnally, 1967). ჩვენ მიერ დაანგარიშებული სანდოობის მაჩვენებლები ასახულია 3.2 ცხრილში, საიდანაც ცხადია, რომ კრონბახის ალფას მნიშვნელობები თითოეული ცვლადისთვის 0.7-ზე მეტია, რაც შეიძლება მაღალ კოეფიციენტად შეიძლება ჩაითვალოს.

კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდურობის სტატისტიკა

ცვლადები	დებულებების რაოდენობა	კრონბახის ალფა	CR	AVE
EIS	6	0.773	0.841	0.443
IO	3	0.89	0.925	0.757
SMMA	7	0.934	0.946	0.688
EN	5	0.915	0.93	0.693
eWOM	14	0.934	0.944	0.536
TR	4	0.936	0.952	0.798
PI	5	0.918	0.937	0.714
CYB	3	0.936	0.955	0.841
FR	2	0.912	0.945	0.852

წყარო: ავტორი

თავი 4. კვლევის შედეგები

